პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 8 (860) ოთხშაბათი, 9 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 8 (860)

დღიური

— ფინანსთა კომისარიატმა შრომისა და თავდაცვის საბჭოში შეიტანა პროექტი მტკიცე ხურდა ფულის გამოშვების შესახებ.
— ლოძში გაიფიცენ ლითონზე მომუშავენი.
— პოლონეთის საგარეო მინისტრად დანიშნა პოლონეთის ელჩი პარიზში ზამოისკი.
— 8 იანვარს გაიხსნა ინგლისის პარლამენტი.
— მექსიკაში აჯანყება გრძელდება.
— 7 იანვარს სენატორმა ბორამ ამერიკის სენატში წარმოთქვა დიდი სიტყვა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

მტკიცე ხურდა ვალიუტის შესახებ

ჩვენ დღეს არ შევეხებით ყველა იმ საკითხებს ფინანსების გაჯანსაღების და განმტკიცების სფეროში, რომელნიც წამოჭრილი არიან საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

გვინდა მხოლოდ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ჩვენი ბონების და მტკიცე წვრილი, ხურდა ვალიუტის შესახებ.

ჩერვონეცის შემოღებით მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ფინანსების და მთელი მეურნეობის გაჯანსაღებას.

მხოლოდ ისეთი შედარებით მტკიცე ვალიუტის საშუალებით, როგორც ჩვენი ჩერვონეცი გამოდგა, შესაძლებელი შეიქნა მუშაობის დაწყება გეგმიანი მეურნეობის პრინციპის მიხედვით, ბიუჯეტის შედგენა, სამეურნეო ანგარიშიანობის გატარება, სწორი კალკულიაციის და ბუხჰალტერიის წარმოება, საკრედიტო ოპერაციების განვითარება და სხ.

ყველაფერი ეს სრულებით შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენ მარტო საბჭოთა ფულის ნიშნების ამარა დავრჩენილიყავით, ნიშნების, რომელთა კურსის მერყეობა, შეუჩერებელი და სწრაფი დაცემა იმ თავითვე ჯვარს დაუსვამდა საიმედო ანგარიშზე და გათვალწინებაზე დამყარებულ ყოველგვარ სამეურნეო ცდას, თუგინდ მოკლე ხნის განმავლობაში.

მაგრამ ჩვენი ფინანსიური რეფორმა ჯერ არ არის დამთავრებული და ეს უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ჩერვონეცთან ერთად ხმარებაშია, როგორც გასაცვლელი საშუალება, საბჭოთა ფულის ნიშნები, ჩვენში, ამიერ-კავკასიის ბონები. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ მტკიცე წვრილი ვალიუტის შემოღება.

თუმცა ანგარიში, აღებ-მიცემობა და სხ. უმეტეს შემთხვევაში ხდება ჩერვონეცის საფუძველზე, მაგრამ ანგარიშის გასწორება უფრო ბონებით სწარმოებს.

ეს გარემოება დიდად აფერხებს მთელი ჩვენი მეურნეობის აღორძინებას, ფინანსების გაჯანსაღებას და მშრომელთა კეთილდღეობის წინ წაწევას.

ავიღოთ, მაგალითად, წარმოებამ, სავაჭრომ, დაწესებულებამ ჩერვონეცის ანგარიშით მიიღო დღეს ასი მილიარდი ბონი, რომლის გადახურდავება მტკიცე ვალიუტაზე, ან მოხმარა, მან, სხვადასხვა ტეხნიკურ მიზეზების გამო, ვერ შესძლო იმავე დღეს. მეორე დღისთვის ეს ასი მილიარდი, უქმად დარჩენილი სალაროში, კარგავს გუშინდელი ღირებულების 5—15 და მეტ პროცენტს. ასეთი მდგომარეობა იძულებულს ხდის სათანადო ორგანოს თუ პირს, რომ ფულის კურსზე არ წააგოს, ყოველ შემთხვევისათვის წაუმატოს თავის საქონლის ფასს საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცენტი.

ამგვარად, მერყევი ბონების ტრიალი ერთ-ერთი მიზეზთაგანია საქონლის გაძვირების.

ავიღოთ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. ისინი იღებენ მას საქონლის ან ჩერვონეცის მანეთის მიხედვით. მაგრამ ხელში უუმრავლეს შემთხვევაში ეძლევათ ბონები. ისინი ყოველდღიური საჭიროებისათვის წვრილწვრილად ხარჯავენ ამ ფულის ნიშანს, რომელიც დღითი-დღე ეცემა. ერთი ან ორ კვირაში რომ შერჩეთ, ბონის ღირებულება, მის მიღების დღის კურსთან შედარებით, საგრძნობლად დაეცემა. ამნაირად ხდება მუშის ხელფასის რეალური შემცირება. რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესია, რომ მუშა-მოსამსახურე ხელფასს მიიღებდეს ჩერვონეცით. მაშინ მისი რეალური ხელფასი მეტწილად შენარჩუნებული იქნება. ვამბობთ—მეტწილად, რადგან ეს მაინც ვერ უშველის საქმეს სავსებით: ჩერვონეცი საკმაოდ დიდი კუპიურაა და მუშა-მოსამსახურეს მოუხდება მისი გადახურდავება ბონებზე წვრილი ხარჯებისათვის.

ბონების დასაცავად გაფასებიდან მუშა-მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ და უნდა მიმართონ კიდეც შემნახველ კასებს, მაგრამ იქ ყოველდღე ფულის შეტანა და გამოტანა ხომ დიდ ტეხნიკურ სიძნელეს წარმოადგენს, ბონი კი სწორედ ყოველდღე ეცემა.

გაცილებით უარეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი გლეხობა. მან ჯერაც არ იცის კარგად, თუ რა არის ჩერვონეცი, ამასთან ის სათანადოთ ვერ ადევნებს თვალყურს ჩერვონეცის და ბონების შეფარდებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ბოლო დროს დაუკლო ფასები ნავთს, მარილს, ფართლეულს. ეს დაკლება ჯერ კიდევ საგრძნობი არ გამხდარა პროვინციისათვის, არა მარტო იმიტომ, რომ იაფმა საქონელმა ვერ მოასწრო შორეულ სოფლამდი მიღწევა, არამედ ბონის კურსის სწრაფი დაცემის გამოც. თუ ერთი თვის წინედ, მაგ., გირვანქა ნავთი ღირდა ხუთი მილიონი და ეხლაც ამდენი ფასობს, გლეხი აქ ადვილად ვერ აჩნევს გაიაფებას თუმცა საქონელი ნამდვილად გაიაფებულია და ერთი თვის და ახლანდელი ფასის ნომინალური, ვთქვათ, თანასწორობა ბონებით ამ უკანასკნელის დაცემით აიხსნება.

საქონლის ტრიალი, აღებ-მიცემობა სოფლად შეუდარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვინემ ქალაქში.

თუ სოფლად მოწანწალე ჩარჩმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შეიძინა ბონებით (და ეს ხშირად ასეც ხდება), და ეს ბონები შერჩა გლეხებს, მაგ., ერთი თვის განმავლობაში, ან შეინახა მან „შავი დღისათვის", ეს ბონი კარგავს თავის ღირებულების დიდ ნაწილს და გლეხი დაზარალებული გამოდის.

სად არის გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან?

პირველ ყოვლისა უნდა იქნას მიღებული გადაჭრილი ზომები ბონის კურსის კატასტროფიული დაცემის პროცესის შესანელებლად. რა თქმა უნდა, ობიექტიურად შეუძლებელია ჩვენი ბონის კურსის ერთ დონეზე შეჩერება, მაგრამ იმას მაინც უნდა მივაღწიოთ, რომ დაცემის პროცესი შესუსტდეს, ის „ნორმალური" თანდათანობით ხდებოდეს.

ბონის გამომშვები დაზგა ძალიან ინტენსიურად მუშაობს, ბონებით, ემისიით იფარება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო ხარჯები. საგადასახადო აპარატი სუსტად მუშაობს, სახელმწიფო სალაროს აღარ უბრუნდება გამოშვებულ ბონების საჭირო რაოდენობა. ბონი ნიაღვარივით მოედო ბაზარს და ცხადია, რომ ის კატასტროფიულად დაეცა. ხარჯთაღრიცხვის შეკვეცა არსებული რესურსების მიხედვით და მისი სასტიკად დაცვა, საგადასახადო საქმის გაძლიერება და ბონების ამოქაჩვა ფულის ბაზრიდან, ემისიის შემცირება და მისი თანდათანობით მოსპობა—ამ გზით შეიძლება ჩვენი ბონის კურსის შედარებით განმტკიცება. ესაა სადღეისო ამოცანა.

ამავე გზით ჩვენ უნდა მოვამზადოთ ნიადაგი ფინანსიური რეფორმის დამთავრებისათვის, კერძოდ ბონების, მოსასპობად და მტკიცე წვრილ ვალიუტაზე გადასასვლელად.

ცეკას რეზოლიუციაში „ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ" ვხვდებით შემდეგ ადგილს: „გადასვლა მტკიცე ვალიუტაზე, მერყევ საბჭოთა ფულის ნიშნების ემისიის შეწყვეტა, და გამოშვება, არა უგვიანეს გაზაფხულის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან დაკავშირებით, მტკიცე ხურდა ვალიუტისა ჩერვონეცზე ნაკლებ კუპიურებში და წვრილ ვერცხლის ფულისა".

თავის თავად ცხადია, ამ რეფორმის წარმატებითი გატარება გულისხმობს სათანადო სამეურნეო კონიუნქტურას. არც ერთი ფინანსიური ღონისძიება არ არის დღეგრძელი, თუ ის არ ემყარება ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების ტენდენციებს.

ჩერვონეცის, როგორც მტკიცე ვალიუტის შემოღება და შენარჩუნება, იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ის გამომდინარეობდა მთელი ჩვენი მეურნეობის განვითარების და აღდგენის პირობებისაგან. თავის მხრივ კი ჩერვონეცმა დიდი როლი ითამაშა სახალხო მეურნეობის აღორძინებასა და მოწესრიგებაში. შემდეგი ნაბიჯია მტკიცე ხურდა ვალიუტის შემოღება ამისათვის ნიადაგი უნდა მომზადდეს სახალხო ეკონომიკის შემდეგი აღორძინებით და მთელი რიგი წინაწარი ფინანსიური ღონისძიებებით, როგორიცაა: ხარჯების წარმოება მხოლოდ დამტკიცებულ ბიუჯეტის ფარგლებში, ბრძოლა ხელგაშლილობასთან, საგადასახადო და სხვა შემოსავლის გაძლიერება, ქაღალდის ფულის ემისიის მოსპობა და სხ.

საფრანგეთის მოსყიდული და გახრწნილი ბურჟუაზიული პრესა

IV

პრესა სარგებლობს ნიკოლოზის მთავრობის მძიმე მდგომარეობით, რომ მეტი წაგლიჯოს მას

ომმა იაპონიასთან მიიღო რუსეთის მთავრობისათვის სახიფათო მიმართულება. სამხედრო მდგომარეობა ზღვაზე და ხმელეთზე შერყეულია და ემუქრება თვითმპყრობელობას პრესტიჟს. მოსყიდულ პრესას დრო უდგება მადა გააფართოვოს და მიიღოს კიდევაც რასაც ის მოითხოვს მთავრობას. ამ უკანასკნელს სხვა გზა არა აქვს, დათმობაზე უნდა წავიდეს. ასე სარგებლობდენ ბურჟუაზიული პრესის ქურუმნი რუსეთის უბედურობით.

რაფალოვიჩი სწერს კოკოვცევს 1904 წლის 17 აგვისტოს: „ვადა იმ ვალდებულებათა, რომლებიც აიღეს თავზე ბანკების და ბანკირების სინდიკატმა რუსეთის კრედიტის დასაცავათ, გათავდა 15 აგვისტოს და საჭიროა გამოვარკვიოთ, როგორ მოვიქცეთ ამის შემდეგ. **შეცდომა იქნებოდა მიგვეტოვებია ფრანგული პრესა მისი საკუთარი გულისთქმის ამარა, რაც, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევებს გარდა, საზარალო იქნებოდა ჩვენთვის.** ჩვენ წინაამდეგ დაგროვილია მტრობა და სიძულვილი, როგორც რედაქციებში, ისე ბირჟაზე და ეს დაგუბებული გრძნობა ეძებს გამოსავალს. მასონების კავშირები, რომელთა გავლენა მთავრობაზე სამწუხაროთ ძლიერია, მტრები არიან თვითმპყრობელი ბიუროკრატიისა".

აძლევს რა ანგარიშს კოკოვცევს იმაში, თუ რამდენი დახარჯა და რამდენი აქვს განზრახული დასახარჯათ, რათა „დააწყნაროს" მოსყიდული პრესა, რაფალოვიჩი ათავებს თავის წერილს ასე:

„**მე არ განვიცდი სიამოვნებას როდესაც წინადადებას ვიძლევი გავწიოთ ეს ხარჯი, მაგრამ საუბედუროთ ის საჭიროა განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ამბების მიმდინარეობამ ჩვენთვის არა ხელსაყრელი მიმართულება მიიღო ზღვაზე და მოველით პორტარტურის დაცემას**".

დრო მიდის. რუსეთის მდგომარეობა ბრძოლის ასპარეზზე უფრო და უფრო ცუდი ხდება. რუსეთის სესხის ქაღალდების პატრონები, წვრილი და მსხვილი კრედიტორები აღელვებული არიან გლახა ამბებით.

რაფალოვიჩი სწერს კოკოვცევს:

„ის, რაც მათ განსაკუთრებით აღელვებს, არის ამაღელვებელი ცნობები რუსეთის შინაური მდგომარეობის შესახებ, გარდა ამისა მათ აფიქრებს, რომ არასფერი არ ისმის გამარჯვებების შესახებ ხმელეთზე, და რომ, პირიქით, გლახა ტელეგრამები მოდის მანჯურიიდან. რუსეთის მოწინაამდეგენი: სოციალისტები, რევოლიუციონერები, ლიბერალები, სპეკულიანტები და საქმის ხალხი, რომელთაც მხარს უჭერენ ინგლისელები და ამერიკელები, სარგებლობენ ასეთი მდგომარეობით და აწარმოებენ კამპანიას ჩვენ წინაამდეგ.

„ჩვენი აგენტი ვერნეილი ფიქრობს, რომ ჩვენ ბევრი რამ არ გაგვიკეთებია ჯერ კიდევ პარიზში ჩვენი ინტერესების დასაცავათ. ჩვენ გავლენა გვაქვს გაზეთების ინფორმაციის ფინანსიურ განყოფილებებზე, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჯერ, რომ ხელი დაგვედო გაზეთების პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე, დეპეშებით გამოქვეყნების საქმეზე ამ გაზეთებში.. **ამიტომ საჭიროა ჩვენი აგენტების აზრით: ხელში ჩავიგდოთ გაზეთზე პოლიტიკური გავლენა, გამოქვეყნებულ ტელეგრამებს გავაყოლოთ ხოლმე ისეთი ახსნა-განმარტებანი, რომლებიც დაარწმუნებენ მკითხველებს, რომ ჩვენ შეგვიძლია აღებული ვალების გადახდა და რომ რევოლიუციონერები დამარცხდებიან ჩვენ მთავრობასთან ბრძოლაში. ეს რომ მოვახერხოთ საჭირო იქნება დავხარჯოთ ამ გაზეთებზე წლიურათ ორი-სამი მილიონი ფრანკი. მას მადა მოემატა წარსული წლის თებერვალში ის მოითხოვდა 1 200 000 ფრანკს**".

ასე აწყობს საქმეს რუსეთის თვითმპყრობელობის მსახური რაფალოვიჩი. საჭიროა მოსყიდვა არა მარტო გაზეთების ფინანსიური ინფორმაციის განყოფილებათა გამგეებისა. ეს ცოტაა. აუცილებელია ამასთან ერთათ ხელში ჩავიგდოთ გაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმე. თუ ვერ შევიძლებთ, რომ ხელი შეუშალოთ ჩვენ საწინააღმდეგო დეპეშის დაბეჭდვას გაზეთებში, ის მაინც მოვახერხოთ, რომ ამ ცნობებს გავაყოლებიოთ ჩვენთვის ხელსაყრელი კომენტარიებით.—ასეთ რჩევას აძლევდა „სიდუმლო მრჩეველი" კოკოვცევს და ხარჯავდა კიდევაც ამ საქმეზე მილიონებს.

აი რაში მიდიოდა ხალხის ფული. მას ფლანგავდენ იმიტომ, რომ მოსყიდული პრესის საშუალებით გაენანგრძლივებიათ რუსეთის თვითმპყრობელობის კრედიტი საფრანგეთში და დახმარება მიეღოთ რევოლიუციონერებთან ბრძოლაში..

ნ.

ლიტერატურის გაიაფების შესახებ

პროვინციიდან მოდის ცნობები, რომ მოწაფეებს არ აქვთ საშუალება იყიდონ სახელმძღვანელო წიგნები. სულ უბრალო პატარა წიგნაკის ფასი აღწევს 25 | 30 მილიონ მანეთამდის და თავის თავათ ცხადია, სოფლის გლეხკაცს მისი ყიდვა არ შეუძლია. ზედმეტია ლაპარაკი უფრო სერიოზულ წიგნებზე, რომელთა ფასი 50—60—70 მილიონ მანეთამდის ადის. მოწაფემ, რომელიც სკოლაში დაიარება, ერთი წლის განმავლობაში ორი სამი სახელმძღვანელო მაინც უნდა იყიდოს. ეს კი მას არ ძალუძს საშინელი სიძვირის გამო. რას ვხედავთ ჩვენ ამის შედეგათ?

იმას, რომ მოწაფეები ხშირად **იძულებულნი სკოლას თავს მიანებონ.** ესეც რომ არ იყოს ჩვენს წინაშე მაინც სდგას საკითხი საბჭოთა წიგნის ბედის შესახებ, საკითხი ჩვენი ლიტერატურის გავრცელებისა. ამ დარგში კი აქეთივე კრიზისია, როგორც სხვა სამეურნეო დარგებში. „მაკრატელი" არ შეხებია მარტო ჩითის და პურის ფასებს. „მაკრატელი" ეს გამოხატულებაა ჩვენი მეურნეობის საერთო კრიზისისა, რომლის ნაწილს წარმოადგენს კრიზისი ლიტერატურის გავრცელების დარგში რუსეთიდან ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გაძვირებულა წიგნის ფასი და მისი ხარჯები ომის წინა დროსთან შედარებით. აქ ჩვენ გვაქვს ფასების გადიდება **ორ სამჯერ.**

ჩვენ არა გვაქვს ცნობები ჩვენი ქართული წიგნის გამოცემის ხარჯებისა ეხლა და წარსულში, რომ შესაძლო ყოფილიყო მისი შედარება. მაგრამ ერთი კი აშკარაა: ჩვენ, საქართველოშიც ვდგევართ წიგნის საკითხში „მაკრატლის" წინაშე. ფასები ქართულ წიგნზე არ ჩამორჩება რუსული წიგნების ფასებს, თუ მათ არ აღემატებიან.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, დღემდის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ამ საკითხს. ჩვენ ვლაპარაკობთ ფასების დაკლების შესახებ ნავთზე, მარილზე და სხვ. და ამ მხრივ ნაბიჯებიც კი გადავდგით. სრულებით არ გვიფიქრია კი იმაზე, **რომ ფასები შეგვემცირებინა საბჭოთა წიგნზე**, რომ მისი ყიდვა შეიძლოს გლეხკაცმა და მუშამ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შინავაჭრობის კომისარიატმა ეს საკითხი თავის დღის წესრიგში უნდა დააყენოს. ბევრი კამათი არ არის საჭირო. საჭიროა პრაქტიკული ღონისძიების ცხოვრებაში სასწრაფოთ გატარება. უნდა იქნას გამორკვეული მიზეზები წიგნის გაძვირებისა, ყველა ის დამატებითი ხარჯები, რომლებიც მას ედება.

შეუძლებელია ლაპარაკი და ფიქრი ახალ გამოცემებზე, როდესაც ჩვენი ლიტერატურა წიგნის მაღაზიებს არ სცილდება, როდესაც მას მყიდველი არა ჰყავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წიგნის გამომცემლობის და გავრცელების საქმეში გვახასიათებს ბევრი დეფექტები, რომლებიც დეტალურათ შესწავლილი და აღმოფხვრილი უნდა იქნას. გლეხკაცს და მუშას უნდა წერა-კითხვის შესწავლა. ამისათვის უნდა მივცეთ მათ იაფი წიგნი, ხელმისაწვდომ ფასებში. ჩვენ გვინდა მოვსპოთ პოლიტიკური უცოდინარობა, ამისათვის კი უპირველესათ ყოვლისა უნდა სერიოზულათ მოვიფიქროთ პოლიტიკური წიგნაკების იაფად გამოცემის და გავრცელების საქმეზე.

წიგნის სიძვირე ეღობება წინ ჩვენს დიდ მუშაობას ქვეყნის კულტურული აყვავების საქმეში. წიგნის სიძვირე ქმნის უდიდეს დაბრკოლებებს პოლიტიკურ-განმანათლებელ დარგშიც. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს დაბრკოლება თავიდან უნდა მოიცილოს, მან უნდა გაუკაფოს გზა ჩვენი ხალხის განათლების შემდეგ განვითარებას. ამიტომ წიგნის გაიაფება—უნდა გახდეს ჩვენ მორიგ ამოცანათ.

ქ. ორაგველიძე.

ტერორს ტერორით ვუპასუხებთ

29 დეკემბერს მენშევიკ ფაშისტებმა მოჰკლეს ი. გიორგაძე გაიტაცეს და თავის ტერორის ქვეშ დააყენეს სამსონ დოგორჯგინიძე, რომელიც დღემდი არა სჩანს.

ეს ორი, ქარში და ლხინში ერთად გამოვლილი ამხანაგი, საღამოს 5 საათზე ერთად გამოვიდენ სახლიდან. ილარიონ გიორგაძე ვიპოვეთ საღამოს 7 საათზე, ბორანის მახლობლად სატივესთან, ორი ტყვიით (გულში და თავში) განგმირული. ამ საზიზღარი ტერორით არ დაკმაყოფილდენ ფაშისტ-მენშევიკები და გუშინ, ექვს იანვარს, ღამით სიცოცხლეს გამოასალმეს გლეხი ვანო ქაიხოსროშვილი, სოფ. საგარეჯოში მცხოვრები, რომელიც ტფილისში საქმეებზე იყო ჩამოსული. ვანო ქაიხოსროშვილმაც ისე დასტოვა ფაშისტ-მენშევიკების პარტია, როგორც სხვა 17 ათასმა, საქართველოს პატიოსანმა მუშამ და გლეხმა.

ჯალათები გადავიდენ ტერორზე. მათ ხელები გაისვარეს ყოფილ ამხანაგების, მუშის და გლეხის სისხლში. ჩვენი ვალია ეს საზიზღარი სისხლიანი ხელები მოვჭრათ, რომ მათ კიდევ არ მოუსპონ სიცოცხლე კომუნიზმისათვის მებრძოლ რაზმში ჩამდგარ, გამოღვიძებულ ყოფილ სოციალ-დემოკრატებს.

გამოგვიწვიეს. ჩვენი ვალია პასუხი გავცეთ მათ, თორემ უფრო გათამამდებიან, უფრო მეტ სისაძაგლეს და საზიზღრობას ჩაიდენენ.

30 აგვისტოდან ჩვენ დავდექით კომინტერნის გზაზე. ვინც ამისათვის ჩვენ თეთრი ტერორით გვიმასპინძლდება, მათ ჩვენ, როგორც კომუნისტები, წითელი ტერორით გავცემთ პასუხს. თქვენ გამოწვევას ჩვენ ვღებულობთ. ჩვენც არა თქვენზე ნაკლებათ ვიცით რევოლვერებით სროლა.

ქ. თოფაძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

გერმანიის კაპიტალი და რეაქცია მუშაობს

პროფკავშირების ყვითელი ბელადები ხელს უწყობენ კაპიტალისტებს

ბავარია ემუქრება გერმანიის მთლიანობას: ბავარიის მთავრობამ გაუგზავნა ბერლინის მთავრობას მემორანდუმი, რომელიც მიმართულია ვეიმარის კონსტიტუციის წინაამდეგ. რეაქციონური გაზეთებიც კი ბავარიის ამ ნაბიჯს თვლიან უდიდეს საფრთხედ გერმანიის მთლიანობისათვის.

რეაქცია მუშაობს: გენ. სექტმა „შენიშვნა" მისცა ცნობილ ეკონომისტ კალვერს, რომელმაც გამოააშკარავა მთავრობის ფინანსიური „რეფორმების" გაკოტრება.

რეიხსვერის მთავარსარდალმა დაშალა ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკთა კავშირი.

ხემნიცის ახლო პოლიციამ აღმოაჩინა პროლეტარული რაზმი. რაზმსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

უჩვეულო შემთხვევა: საქსონიის სოციალ-დემოკრატიის პარტეიტაგმა მოითხოვა სოციალ-დემოკრატ მინისტრის გელდის გამოსვლა კოალიციონური მთავრობიდან.

პარტეიტაგმა მოითხოვა აგრეთვე საქსონიის ლანდტაგის დაშლა და ხელახალი არჩევნების დანიშვნა. ეს დადგენილება სავსებით ეთანხმება კომპარტიის მიერ საქსონიის ლანდტაგში შეტანილ წინადადებას.

კაპიტალის და რეაქციის შეტევა

ყვითელი ბელადების „აღშფოთება"

ბერლინი. 6 იანვარი გერმანიის პროფკავშირების გაერთიანებამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ხაზს უსვამს იმას, რომ მწარმოებლები გადავიდენ აშკარა შეტევაზე შრომის ხელფასისა და სამუშაო დღის გადიდების საკითხებში. შრომის სამინისტრო კონფლიქტებს სწყვეტს მწარმოებლების სასარგებლოთ, რის გამო **მუშები უნდობლობით ეპყრობიან სამინისტროს.** სამედიატორო სასამართლოს განაჩენი პოლიგრაფიულ მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის შესახებ დაცინვაა მთავრობის უკანასკნელ განკარგულებაზე, რომლითაც აკრძალულია სამუშაო დღის გადიდება პოლიგრაფიულ მრეწველობაში.

მოწოდებაში ნათქვამია: „მბეჭდავებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ მწარმოებლების შეტევას, რომელსაც უმთავრესათ პოლიტიკური მიზანი აქვს მუშათა კლასი ვერ იქნება დამარცხებული ამ ბრძოლაში, რადგან კრიზისის პერიოდს მოჰყვება აღორძინების პერიოდი".

მოწოდება მოუხმობს მუშებს მთლიანობისა და რიგების მჭიდროთ გაერთიანებისაკენ. როგორც სჩანს, ამ მოწოდებით იწყება პროფკავშირების სრულიად გერმანიის გაერთიანების გამოსვლა მწარმოებლებთან თანამშრომლობის კომიტეტიდან.

ნახშირის და სპილენძის მრეწველობაში.

ბერლინი. 6 იანვ. სამედიატორო სასამართლოს დადგენილების თანახმათ, **რურის ნახშირის მრეწველობაში დაწესებული იქნება 65—78 საათის სამუშაო კვირა** იმ მუშებისათვის, რომელნიც მიწის ზევით მუშაობენ. ალბათ, პროფკავშირი უარყოფს ამ მოთხოვნილებას.

მანსფელდის სპილენძის მრეწველობის მწარმოებელთა კავშირმა მოიწონა სამედიატორო სასამართლოს დადგენილება ომის წინ არსებულ სამუშაო დროის შემოღების შესახებ.

მწარმოებლების ნაწილობრივი გამარჯვება.

ბერლინი. 6 იანვარი. 11 საათის მოლაპარაკების შემდეგ მიღწეულ იქნა შეთანხმება ლითონის მრეწველობის მწარმოებელთა და მელითონეთა პროფკავშირის შორის. არსებითად, **გამარჯვებული დარჩენ მწარმოებლები.**

კონფლიქტი გამოიწვია, როგორც უკვე ცნობილია, შრომის ხელფასის საკითხმა. მაგრამ, მოლაპარაკების დროს მრეწველებმა წამოაყენეს აგრეთვე საკითხი სამუშაო დღის შესახებ; მრეწველებს დათმობის საშუალებით შრომის ხელფასის საკითხში სურთ დაითანხმონ პროფკავშირები სამუშაო დროის გადიდებაზე. პროფკავშირების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ლითონის მრეწველობის ეხლანდელი მდგომარეობა არ მოითხოვს სამუშაო დღის გადიდებას. იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილი იქნება მდგომარეობა, პროფკავშირები მზათ არიან ანგარიში გაუწიონ ეკონომიურ აუცილებლობას. **ამრიგათ, პრინციპიალურათ პროფკავშირებმა უარი სთქვეს 8 საათის სამუშაო დღეზე, რამაც დააკმაყოფილა მწარმოებლები.** პროფკავშირები წავიდენ დათმობაზე შრომის ხელფასის საკითხშიც. მიღებული შეთანხმება არსებითად აწესებს შრომის ხელფასის არა მომატებას, არამედ შემცირებას, თუმცა არა ისეთ რაოდენობით, როგორც ამას მოითხოვდენ თავდაპირველათ მწარმოებლები: ერთ საათში მუშებს ეძლევათ 48—38 პფენინგი, 50—41 პფენინგის მაგივრათ.

დღეს დადებულ შეთანხმებას განიხილავენ მელითონეების წარმომადგენლები.

რეაქცია მუშაობს

ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა ორგანიზაციის დაშლა.

ბერლინი. 6 იანვარს. რეიხსვერის მთავარსარდალმა დაშალა ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია.

თავდასხმა პროლეტარულ რაზმზე.

ბერლინი. 6 იანვარი. დაბეზღების გამო, პოლიციამ ხემნიცის ახლო აღმოაჩინა 100 კაცისაგან შემდგარი პროლეტარული რაზმი, რომელიც სამხედრო ვარჯიშობას ეწეოდა. მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. დაატუსაღეს 18 მუშა.

სიმართლისთვის პირში ბურთს სჩრიან.

ბერლინი. 6 იანვარი. სექტმა გაფრთხილება მისცა ცნობილ ეკონომისტ კალვერს იმ წერილის გამოქვეყნებისათვის, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მთავრობა შეგნებულათ თუ შეუგნებლად არყევს მოსახლეობას ახალი ინფლიაციის გატარებით. მთელი პრესა ერთხმად კიცხავს სამხედრო ხელისუფლების ასეთ გამოსვლას და ხაზს უსვამს იმას, რომ ასეთი მოპყრობის გამო, მცხოვრებთა ნდობა მარკის შესაძლებელ სტაბილიზაციისადმი თანდათან ეცემა.

უჩვეულო შემთხვევა

სოციალ-დემოკრატებმა გაბედეს.

ბერლინი. 6 იანვარი. საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პარტეიტაგმა 74 ხმის უმრავლესობით 22 წინააღმდეგ მოითხოვა ახალ პრემიერ-მინისტრის ჰელდის (სოციალ-დემოკრატი) გადადგომა. ეს ნიშნავს ახლახან შექმნილ დიდი კოალიციის დაშლას საქსონიაში. 74 ხმის უმრავლესობით 19 წინააღმდეგ პარტეიტაგმა მოითხოვა ლანდტაგის დაუყოვნებლივი დათხოვნა, და 86 ხმის უმრავლესობით 17 წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის გაკიცხვას უცხადებს ფრაქციის უმრავლესობას იმისთვის, რომ მან დაარღვია პარტეიტაგის დადგენილება კოალიციაში შეუსვლელობის შესახებ. რეზოლიუცია კიცხავს ფრაქციის უმრავლესობას პარტიული დისციპლინის უხეშ დარღვევისათვის, რომელსაც ადგილი არ ჰქონია არასოდეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ისტორიაში. პარტეიტაგმა ერთხმათ გაილაშქრა პარტიაში განხეთქილების შეტანის წინააღმდეგ.

არ აპირებენ წასვლას

გერმანია

კრიზისი საქსონიაში.

ბერლინი. 8 იანვარი. დრეზდენიდან მიღებულ ცნობების თანახმად გელდი და სხვა სოც.-დემ. მინისტრები, მიუხედავად საქსონიის ს.-დ. პარტეიტაგის კატეგორიულ მოთხოვნილებისა, არ ფიქრობენ მთავრობის შემადგენლობიდან გასვლას. საქსონიის ლანდტაგი დათხოვნილი იქნება ალბად [illegible] ფიქრობენ, მიმართავს გელდს თხოვნით დარჩეს თავის ადგილზე არჩევნების დასრულებამდე.

დაპყრობილ ოლქებში

რურში.

რომი. 7 იანვ: ესსენიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რურის მაღაროების პროდუქცია აღდგენილია ჩვეულებრივ ნორმის 40 პროც. ლითონის დამამუშავებელ წარმოებების მუშაობა გაიზარდა 20 პროც.

ოკუპაციის „შემსუბუქება".

პარიზი. 7 იან. გენერალმა დეგუტმა გააუქმა რურში პასპორტების ვიზა გერმანიაში შესვლისათვის, მაგრამ არ გააუქმა პასპორტების ვიზა რურში შემოსვლის მსურველთათვის.

ბერლინი. 7 იანვ. რურის ციხეებში ზის კიდევ 2 000 მეტი გერმანელი, რომელნიც დატუსაღებული არიან ფრანგების მიერ პასიურ წინააღმდეგობისათვის.

კიდევ სეპარატისტები.

ბერლინი. 7 იანვ. ბერლინში ფიქრობენ, რომ ახლო მომავალში დაიწყება ისევ სეპარატისტული აჯანყებები რეინის ოლქში, განსაკუთრებით კი პფალცში.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

საფრანგეთი: საბჭოთა მთავრობის მიერ ლიონის ბაზრობაში მონაწილეობაზე უარის თქმამ და ხმებმა საფრანგეთში არსებულ საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების ლონდონში გადატანის შესახებ ძლიერ დააფრთხო მთავრობის და ბურჟუაზიული წრეები. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს ხმებს, რომ მას არავითარი საწინააღმდეგო არა აქვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების.

იტალია: რუსეთ-იტალიის კომისია შეთანხმდა სავაჭრო ხელშეკრულების ყველა საკითხებში. მუსოლინიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ცნობილი იქნება, როგორც სავაჭრო ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება.

რუმინეთი: რუმინეთის დელეგაციის შეურიგებელი პოზიციის გამო, რუსეთ-რუმინეთის სავაჭრო მოლაპარაკება შეწყდა.

შვეცია: მოსკოვში ჩამოვიდა შვეციის მთავრობის რწმუნებული.

მონღოლეთი.

საბჭოთა რუსეთმა გაანთავისუფლა მონღოლეთის ხალხი.

ურგა. 6 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მონღოლეთში ამხ. ვასილიევმა მონღოლეთის მთავრობას ჩააბარა რწმუნების სიგელები. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა წარმოთქმულ სიტყვაში განმარტა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა მცირე ერთა მიმართ და ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა რუსეთისათვის უცხოა მტაცებლური მისწრაფებები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თავისუფლება მონღოლეთის ხალხს მისცა საბჭოთა რუსეთმა.

შვეცია.

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.

სტოკჰოლმი. 6 იან. 5 იანვარს მოსკოვში გაემგზავრა შვეციის დელეგაციის მეთაური, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირთან.

ამერიკა

საბჭოთა რუსეთის დაცვა.

ნიუ-იორკი. 6 იანვარი. 7 იანვარს სენატორი ბორა გამოვა სენატში ლოჯის წინააღმდეგ; უკანასკნელს განზრახული აქვს დოკუმენტალური ცნობების წარდგენა იმ პროპაგანდის შესახებ, რომელსაც, თითქოს, ეწეოდენ ამერიკაში საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი. თავის პასუხში ბორა უფრო მეტ არსებით განმარტებებს წარმოადგენს, ვინემ მან წარუდგინა საგამომძიებლო კომისიას.

საფრანგეთი.

რუსეთისათვის მომავალში გვერდის ახვევა შეუძლებელია.

პარიზი. 6 იანვარი. ჩიჩერინის განცხადებამ საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან, ხმებმა საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესახებ პარიზში, ცნობამ საბჭოთა მთავრობის მიერ ლიონის ბაზრობაზე მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, „ენფორმასიონ"-ის ბერლინელ კორესპონდენტის ცნობამ იმის შესახებ, რომ სკობელევმა მიიღო განკარგულება გადაიტანოს საბჭოთა სავაჭრო დაწესებულებები ლონდონში,—ყველაფერმა ამან ძლიერ შეაშფოთა საფრანგეთის ეკონომიური წრეები. „ენფორმასიონ"-ის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ სავაჭრო დაწესებულებების გადატანა დროებითია, და რომ სკობელევმა, თითქოს, მიიღო ინსტრუქცია იქონიოს ურთიერთობა საფრანგეთის გავლენიან წრეებთან, რადგანაც მოსალოდნელია საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის შორის ოფიციალური მოლაპარაკება, რომელსაც მის მიერ მიღებულ ცნობით, დაიწყებს რაკოვსკი.

„ენფორმასიონ"-ი ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს ბოიკოტის გამოცხადება საფრანგეთისათვის, და რომ ყველა ეს ზომები ატარებენ დროებით ხასიათს და წარმოადგენენ პასუხს „ოპტორგის" საქმის გამო მიღებულ განაჩენზე. გაზეთი ფიქრობს, რომ საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვება, რომელიც წარმოადგენს ეკონომიურ აუცილებლობას, შესაძლებელია შეჩერდეს ამ ზომების მიღებით მხოლოდ ცოტა ხნით.

გაზ. „პტიბლე"-ში მოთავსებულ წერილში ულმანი აღნიშნავს, რომ ის უკვე დიდი ხანია ემხრობა ეკონომიურ და პოლიტიკურ მოსაზრებით საბჭოთა მთავრობის ცნობას, ვინაიდან მომავალში შეუძლებელია რუსეთისათვის გვერდის ახვევა; რუსეთი ერთ ერთი უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ევროპის ცხოვრებაში. ულმანი აღნიშნავს და მოითხოვს მხოლოდ საფრანგეთის ქვეშევრდომთა ინტერესების უზრუნველყოფას და გარანტიებს იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა არ გასწევს კომუნისტურ პროპაგანდას საბჭოთა რუსეთის გარეშე. დასასრულ, ულმანი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ეკონომიურმა თანამშრომლობამ შეიძლება მიგვიყვანოს საფრანგეთ-რუსეთის კავშირამდე, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე ზავს ევროპაში.

იტალია.

სავაჭრო ხელშეკრულების შემდეგ—საბჭოთა კავშირის ოფიციალურად ცნობა.

მოსკოვი. 8 იანვარი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა იტალიაში გორჩაკოვმა „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ რუსეთ-იტალიის კომისიამ მიაღწია შეთანხმებას თითქმის ყველა პრინციპიალურ საკითხებში სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო. ეხლა რომში მუშაობს მხოლოდ კომისია, რომელიც ადგენს საბოლოოთ შეთანხმებულ ტექსტს.

ჩვენს დელეგაციებთან საუბრის დროს მუსოლინიმ პირდაპირ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა მოხდება სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერასთან ერთად. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მოხდება ჯერ კიდევ იანვარში.

რუმინეთი

სავაჭრო მოლაპარაკების ჩაშლა.

მოსკოვი. 8 იანვარი. რუმინეთში საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარემ—კლიშკომ „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რადგანაც რუმინეთის დელეგაციამ არ მიიღო მოთხოვნილება სავაჭრო წარმომადგენლობათა გაცვლა-გამოცვლის შესახებ, საბჭოთა კავშირის დელეგაცია ამით დარწმუნდა, სამწუხაროდ, რომ რუმინეთის დელეგაცია არ ყოფილა გამსჭვალული საბჭოთა რესპუბლიკებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების სურვილით. სცნო რა ასეთ პირობებში კონფერენციის მომავალი მუშაობის უნაყოფობა, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ განუცხადა ამის შესახებ რუმინეთის დელეგაციას.

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართულში

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ იანვრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით	1 მ. 50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — —	1 მ. 60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის	1 მ. 20 კ.

„ჩირაღდანი“

დეკემბრის ორიდან იწყებს გამოსვლას „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“, რომელიც **დაურიგდება ხელის მომწერლებს უფასოთ.**

ჟურნალ „ნიანგზე“ ფასები:

თვიურათ ყველასათვის — —	30 კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — —	15 კ.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, **რომ პარასკევს, 11 იანვარს**

ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნეს დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1) **ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები.**

2) **საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის დადგენილებები.**

მასალებად გამოყენებულ იქნეს რუსეთის კომპარტიის ცეკას რეზოლიუცია, რომელიც დაიბეჭდა 1 იანვარს გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში № 1, გაზ. „კომუნისტ“-ში № 3, 4 იანვარს, „მარტაკოჩში“ № 2 4 იანვარს და 3 დან 5 იანვრამდე და აგრეთვე ამხ. კამენევის სიტყვა („პრავდა“ 30 დეკემბერი).

მეორე საკითხის შესახებ მასალებს მიიღებენ რაიკომები ხუთშაბათიდან.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუპენი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის კონგრესი

პარტია გაიხრწნა

კონგრესმა გამოააშკარავა პარტიის სრული იდეური გაკოტრება და იმპერიალისტური პოლიტიკის ბრმა იარაღათ გადაქცევა.

პოლონეთის სოციალისტებმა უარი სთქვეს გლეხობის ინტერესების დაცვაზე. კონგრესმა უარჰყო ფორმულა მემამულეთა მიწების გამოუსყიდავათ გლეხობისათვის გადაცემის შესახებ.

ეროვნულ საკითხში ყრილობამ მიიღო ნიკოლოზ მეორეს ტაქტიკა: ეროვნული უმცირესობანი დაჰყო კატეგორიებათ: ებრაელებს—არავითარი უფლებები, ბელორუსები—არ მომწიფებულან ავტონომიისათვის, უკრაინელებს—„შეიძლება მიეცეს კულტურული ავტონომია“.

როგორ იცავენ გლეხებს.

ვარშავა. 6 იანვარი. დისკუსიამ აგრარულ საკითხის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის კონგრესზე, გამოააშკარავა ამ უკანასკნელის აზრთა სრული სხვადასხვაობა. **პირველ წინადადების თანახმათ, კონგრესმა უარი სთქვა მამულების გამოუსყიდავათ გაყოფის ფორმულაზე.** ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებენ იმით, რომ ყველაზე უფრო რადიკალური მთავრობაც კი არ დათანხმდება მამულების გაყოფაზე გამოუსყიდავათ, რადგან ასეთი ნაბიჯი დაარღვევდა საკუთრების პრინციპს. მემარჯვენეთა ძალდატანების გამო, კონგრესს არ მიუღია არავითარი რეზოლიუცია აგრარულ საკითხის შესახებ; კონგრესმა დაავალა ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს აგრარულ რეფორმის პროექტი.

ნიკოლოზ მეორის პოლიტიკა

ასევე მოღალატურათ მოიქცა კონგრესი ეროვნულ საკითხში. **მომხსენებელმა პიდვიალკოვსკიმ ეროვნული უმცირესობანი დაჰყო 3 კატეგორიათ: ებრაელები, რომელთაც არავითარი უფლებები არ უნდა მიეცეთ; ბელორუსები, რომელნიც არ მომწიფებულან ჯერ ავტონომიისათვის და უკრაინელები, რომელთაც შეიძლება მიენიჭოთ კულტურული ავტონომია.**

მიღებულ რეზოლიუციაში მოყვანილია საერთო სიტყვები ეროვნულ უმცირესობათა თანასწორ უფლებიანობისა, კონსტიტუციის დებულების სრული გატარებისა და იმ ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიის შესახებ, რომელნიც კომპაქტიურ მასსათ სცხოვრობენ ერთ ტერიტორიაზე.

დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია პროფკავშირების შესახებ, რომელიც მოითხოვს ამ უკანასკნელების სრულ უპარტიობას და რეზოლიუცია სოციალისტების დევნის წინააღმდეგ რუსეთში. კონგრესის ცნობების თანახმათ, პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში ირიცხება 13.000 წევრი, რაც ლეგალურ პარტიისათვის, რომელიც მთავრობის მფარველობით სარგებლობს, მეტათ უმნიშვნელო რიცხვია.

არალეგალური კომპარტია თითქმის არ ჩამორჩება პოლონეთის სოციალისტურ პარტიას წევრთა რიცხვის მხრივ.

ინგლისი ახალი მთავრობის მოლოდინში

მუშათა პარტიაში.

ლონდონი. 8 იანვარი. ხვალ შესდგება მუშათა პარტიის კრება, რომელზედაც აირჩევენ ახალ თანამდებობის პირებს. მაკდონალდი, რასაკვირველია, არჩეული იქნება თავმჯდომარეთ, მის ამხანაგებათ—კლაინსი და ტომასი.

საღამოს შესდგება დიდი კრება ალბერტ-ჰოლლეში, რომელზედაც მაკდონალდი პირველ ოფიციალურ მოხსენებას გააკეთებს პროგრამის შესახებ, რომელიც გამოიმუშავა მუშათა პარტიამ; ამ პროგრამას მუშათა პარტია გაატარებს ცხოვრებაში ძალაუფლების თავის ხელში ჩაგდების შემდეგ. მუშათა წრეების ცნობების თანახმად, მაკდონალდი მომხრეა ზომიერ პოლიტიკის და ამ მხრივ მას მხარს უჭერენ სხვა ბელადები და მუშათა პარტიის გული. ამასთანავე არ არის უარყოფილი ხმები იმის შესახებ, რომ არსებობს მეორე, მემარცხენეთა სექცია, რომელიც უფრო რადიკალურ პროგრამას მოითხოვს.

მუშათა პარტია და ლიბერალების დახმარება.

ლონდონი. 8 იანვ. მუშათა წრეებში მტკიცდება რწმენა, რომ მუშათა პარტიის ზომიერი პროგრამა უზრუნველყოფს ლიბერალების დახმარებას. ეს აზრი გამოსთქვა ფილიპ სნოუდენმა თავის უკანასკნელ სიტყვაში, როცა მან სთქვა, რომ მუშათა პარტიას ხელისუფლების სათავეში დადგომის შემდეგ, აღარ ექნება ძალა, თუ არ უზრუნველჰყო თავისთვის სხვა პარტიების ხმები. შესაძლებელია შეთანხმება ლიბერალებთან, რისთვისაც მუშათა პარტია გაატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომლის მიხედვითაც მას ეყოლება უმრავლესობა თემთა პალატაში. მუშათა პარტიის იმედი ლიბერალების თანამშრომლობაზე ძლიერდება ლოიდ ჯორჯის განცხადებით „ნიუკასტლ ხრონიკელსა“ და სხვა გაზეთებში. როგორც ლოიდ ჯორჯმა სთქვა: თუ მუშათა პარტიის ლიდერი გაბედულად მიიღებს მთავრობის მოვალეობებს, ის სრული დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თემთა პალატის ლიბერალები მას დაუჯერებენ. ამას ლოიდ-ჯორჯმა დაუმატა, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც მაგ. საგარეო პოლიტიკის, უმუშევართათვის მუშაობის მისაცემად კრედიტების განაწილების საკითხებია,—საჭიროა პარტიათა შორის საფუძვლიანი შეთანხმება. ყველა ამ საკითხებში ლიბერალებიც ისევე შორს წავლენ, როგორც მუშათა პარტია

ინგლისი და საოკუპაციო პოლიტიკა.

პარიზი. 8 იანვარი. „ტანი“ ფიქრობს, რომ მაკდონალდი გაიყვანს რეინლანდიდან საოკუპაციო ჯარებს და გააუქმებს ბრიტანეთის წარმომადგენლობას ელჩთა კონფერენციაზე.

მცირე ანტანტას კონფერენცია

ვენა. 8 იანვარი ბენეში და ლუკა 8 იანვარს მიემგზავრებიან მცირე ანტანტის კონფერენციაზე ბელგრადში, ბენეში გააკეთებს მოხსენებას საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულების შესახებ. ჩეხო-სლოვაკიის საელჩოში ბელგრადში გაიმართება ელჩების სხდომა.

სამხრეთ-სლავიის პრესა ფიქრობს, რომ პოლონეთი მცირე ანტანტაში შესვლის პირობად წამოაყენებს იტალიისადმი მტრული პოლიტიკის შეწყვეტას და პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების უზრუნველყოფას ანტანტის საერთო ძალებით.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ნინჩიჩმა განაცხადა, რომ კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ევროპის საერთო მდგომარეობას და უმთავრესად საოკუპაციო საკითხებს.

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში წამოყენებულია რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩარევის პრინციპი, იმ პირობით, თუ საბჭოთა კავშირი აწალოგიურ ვალდებულებას მიიღებს თავის თავზე მცირე ანტანტის სახელმწიფოების მიმართ.

შორეული აღმოსავლეთი

იაპონია

ახალი თავდასხმა.

პარიზი. 6 იანვ. 5 იანვარს საღამოს იმპერატორის სასახლის წინ მდებარე ჯიჯიბაშის ხიდს ესროლეს სამი ყუმბარა. სამი თავდამსხმელი დატუსაღებულია. პოლიციის განცხადების თანახმად, ერთი თავდამსხმელთაგანი აღმოჩნდა კორეიელი სტუდენტი კინშიმო. ცენზურის განკარგულების თანახმად, თავდასხმის დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება აკრძალულია.

ჩინეთი

სრული სიჩუმე.

პეკინი. 6 იანვ. დიპლომატიური კორპუსი სრული სიჩუმით შეხვდა გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ უარის თქმას გადაეხადა ბოქსერის ანაზღაურება ზარალისათვის ოქროს ვალიუტაში. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობების თანახმად, ანტი მილიტარისტული მოძრაობის ზრდა ჩინეთში და იაპონიის, ინგლისის და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნების მდგომარეობა აიძულებს ამ უკანასკნელთა წარმომადგენლებს არ მოითხოვონ ამჟამათ ჩინეთისათვის წარდგენილ წინადადებების შესრულება.

გომინდანის სრულიად ჩინეთის ყრილობის წინ.

პეკინი. 6 იანვ. პარტია გომინდანის წევრთა საერთო კრებაზე არჩეულია 3 დელეგატი, რომელნიც გაემგზავრენ კანტონში სრულიად ჩინეთის გომინდანის სხდომაზე დასასწრებლად, რომელიც გაიხსნება 15 იანვარს. მოქალაქეთა ასოციაციამ გამოაქვეყნა ორი მანიფესტი. პირველი მანიფესტი მიმართავს ყველა მცირე ერებს მოწოდებით შექმნილ იქნეს მცირე ერთა მთლიანი ფრონტი იმპერიალისტების წინააღმდეგ. მეორე მანიფესტი მიმართავს ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და იტალიის მუშებს და გლეხებს და თავდება შემდეგი სიტყვებით: „ძირს იმპერიალიზმი, ძირს საერთაშორისო მილიტარიზმი. გაუმარჯოს ჩინეთის მუშათა მასების განთავისუფლებას. გაუმარჯოს კანტონის მთავრობას“.

აჯანყება მექსიკაში

იუკატანის გუბერნატორის მოკვლა.

ნიუ-იორკი. 6 იანვარი. ხუერტის მომხრეებმა მოჰკლეს ობრეგონის მიერ დანიშნული იუკატანის გუბერნატორი ფილიპე კარილლო. კარილლომ დაიმსახურა დიდი მემამულეების სიძულვილი თავის რადიკალური მმართველობით, დიდი მამულების ჩამორთმევით და წვრილ მესაკუთრეთათვის მიწების გადაცემით. მისი მოკვლა გააძლიერებს პროლეტარიატის გლეხთა მასების მხრივ ობრეგონისათვის დახმარების გაწევას. ფიქრობენ, რომ ხუერტის მომხრეებს არ ეყოფათ იარაღი და ტყვია-წამალი ხანგრძლივი ომისათვის. ისინი ეცდებიან დასჭიმონ მთელი თავისი ძალები, ობრეგონის დასამხობათ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა უგზავნის ობრეგონს სამარ მასალას.

სხვადასხვა

შვეცია

ლუმელების მილების მწმენდელთა გაფიცვა

სტოკჰოლმი. 6 იანვარი, სტოკჰოლმში გაფიცვა გამოაცხადეს ლუმელების მილების მწმენდელებმა, რომელნიც მოითხოვენ სამუშაო დღის შემცირებას და გაფიცვების უფლებას. შესაძლებელია გაფიცვა მოედოს მთელ შვეციას.

დანია

მეზღვაურების მოთხოვნილება.

კოპენჰაგენი. 6 იანვარი. მეზღვაურების კავშირები მოითხოვენ შრომის ხელფასის მომატებას.

პოლონეთი.

მელითონეების გაფიცვა.

ვარშავა. 6 იანვარი ლოძში დაიწყო მელითონეების გაფიცვა; გაფიცვა გამოიწვია ფაბრიკანტების მოთხოვნილებამ შრომის ხელფასის შემცირების შესახებ 40 პროცენტით.

ზამოისკი—გარეშე საქმეთა მინისტრი.

ვარშავა. 6 იანვარი. პოლონეთის ყოფილმა ელჩმა პარიზში ზამოისკიმ მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

საფრანგეთი.

ფრანკის კურსის დაცემა.

პარიზი. 6 იანვარი. ფრანკის კურსის დაცემა გრძელდება. ოფიციალური პრესა ცდილობს დააწყნაროს საზოგადოებრივი აზრი და ამტკიცებს, რომ ფრანკის კურსის დაცემა დროებითია და აიხსნება უმთავრესად სპეკულიაციით საზღვარგარეთ. ფინანსთა მინისტრს განზრახვა აქვს რეპრესიული ზომები მიიღოს სპეკულიანტების წინააღმდეგ. მაგრამ, საზოგადოება არ იზიარებს ოფიციალურ ოპტიმიზმს. გაზეთი „ერ ნუველ“-ი მდგომარეობას სერიოზულათ სთვლის და უკავშირებს მას მთავრობის საერთო ფინანსიურ პოლიტიკას.

წყალდიდობის მიზეზია მთავრობა.

პარიზი. 5 იანვარი. სენა განაგრძობს ადიდებას. 1910 წელს მომხდარ წყალდიდობის შემდეგ არაფერი არ გაკეთებულა წყალდიდობის შესაკავებლად. კომუნისტ ბერტონს შეკითხვა შეაქვს ამის გამო პარლამენტში.

საბერძნეთი.

ვენიზელოსის მოკვლის განზრახვა.

ბერლინი. 8 იანვარი. **ხმა დადის, რომ ვენიზელოსის მოკვლა უნდოდათ. იტალიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ხმებს განზრახ მალავენ.** საბერძნეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვენიზელოსის საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ, პარლამენტის სხდომის მერე გულის ფრიალი დაემართა. სხვა გაზეთები ადასტურებენ, ვენიზელოსის მოკვლა სცადესო.

იტალია.

ახალი მიწის ძვრა.

რომი. 8 იანვარი. დღეს ღამით მოხდა ახალი მიწის ძვრა ანკონაში, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერი იყო წინანდელთან შედარებით. 40-დე სახლი დაზიანდა. ჯერ ჯერობით ამოჩენილია 88 ადამიანის მსხვერპლი.

ინგლისი.

უდიდესი ხანძარი.

ლონდონი. 8 იანვარი. **ლონდონის გემთა სამშენებლო ქარხნების მიდამოებში საშინელი ხანძარი გაჩნდა, რომლის მსგავსიც დიდი ხანია ალარავის ახსოვს. 200 ცეცხლის მქრობელი მუშაობს ხანძარის ჩასაქრობად.** ამ ჟამად ხანძარი 500 იარდის სიმაღლე ცეცხლის კედელს წარმოადგენს. ახალო-მახლო მდებარე შენობები მთლად დასცალეს. ცეცხლმა იფეთქა პოპლარის გემთა სამშენებლო „კონკორდია“-ში.

ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

ლონდონი. 5 იანვარი. კომინტერნის აღმასკომის დადგენილების თანახმად, ინგლისის კომპარტიის ყრილობა შესდგება კომინტერნის კონგრესის შემდეგ, ალბათ, აპრილის ბოლო რიცხვებში. გაიხსნა პარტიული დისკუსია პროგრამის გამომუშავების საკითხის გარშემო.

რკინისგზელთა კავშირში.

ლონდონი, 5 იანვარი. რკინისგზელ მექანიკთა კავშირმა, რომელშიც ირიცხება 60.000 წევრი, უარყო რკინისგზის ინდუსტრიის შრომის ხელფასის დამწესებელ ეროვნულ კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ დადებული ყოფილიყო ხელშეკრულება, რომელსაც უნდა შეემცირებინა კოჩეგარების შრომის ხელფასი და გაედიდებია მემანქანეების შრომის ხელფასი 18 შილინგიდან 22 შილინ. კვირაში. რკინისგზელთა ეროვნული კავშირი, რომელშიც ირიცხება ნახ. მილ. წევრი დაეთანხმა ნაციონალურ კომიტეტის წინადადებას; ამ კომიტეტში შედიან მწარმოებელთა და მუშების ექვს-ექვსი წარმომადგენლები და 4 წარმომადგენელი თვითეულ დაინტერესებულ მხარიდან.

სამხრეთ-სლავია.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყრილობა.

ვენა. 5 იანვარი. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყრილობა გაიმართება ბელგრადში 14 იანვარს. დღის წესრიგშია: საერთაშორისო მდგომარეობა, პარტიის მორიგი ამოცანები და ეროვნული საკითხი. ეროვნულ საკითხში არსებობს 3 მიმდინარეობა: ავტონომისტების, მარკოვიჩის მეთაურობით, ფედერალისტების ოვიშიჩის მეთაურობით და დემოკრატიული ცენტრის, რომელსაც მეთაურობს მილოშკოვიჩი. როგორც სჩანს გაიმარჯვებს ფედერალისტური მიმდინარეობა, რომელსაც ემხრობიან ხორვატიის ორგანიზაციები და აგრეთვე სერბიის ჯგუფების ნაწილი.

ესპანეთი

კომუნისტების დევნა.

პარიზი 6 იანვარი. კომუნისტების დევნა ესპანეთში გრძელდება. სამხედრო სასამართლოს მიერ გამართლებული და განთავისუფლებულნი კომუნისტები, მათ რიცხვში გაზეთ (სახელი დამახინჯებულია) გამომცემელი ანდრატე, ხელახლა დაატუსაღეს, თანახმათ მადრიდის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებისა, რომელმაც არ დაამტკიცა განაჩენი. ესპანეთის კომუნისტები ყველა ზომებს იღებენ, რომ უზრუნველჰყონ გაზეთის გამოცემა

დე-რივერას ტერორი.

პარიზი. 5 იანვარი. დე-რივერამ გამოსცა დეკრეტი, რომელიც კრძალავს ოფიციალურ დოკუმენტების გამოქვეყნებას კატალონურ ენაზე დაპატიმრებული არიან 3 გენერალური მრჩეველი და პარლამენტის 6 დეპუტატი, რომელთაც ბრალად ედებათ სეპარატისტული მოძრაობის ხელმძღვანელობა.

პროფინტერნში

პროფინტერნი—სერიოზული ძალაა

მოსკოვი. 7 იანვარი. პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ლოზოვსკიმ „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში აღნიშნა, რომ პროფინტერნის მნიშვნელობა და გავლენა მიმდინარე წლის შესამჩნევათ გაიზარდა. პროფინტერნი სერიოზულ ძალად გადაიქცა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მსოფლიოში ამჟამად არ არის არც ერთი ქვეყანა, რომელშიაც პროფინტერნს არ ჰყავდეს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული მომხრეები. პროფინტერნში ამჟამად შედის 13 მილ. რევოლიუციონური მუშა. წარსულ წლის განმავლობაში პროფინტერნმა მოიპოვა რამოდენიმე დიდი პოლიტიკური გამარჯვება. ამავე დროს ხდებოდა ამსტერდამის ინტერნაციონალის და მისი ნაციონალურ ორგანიზაციების დაშლა.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეორე ყრილობა

მესამე დღე.

დილის სხდომა.

კამათი ამხ. მიასნიკოვის მოხსენების გარშემო.

ამხ. ბუნიატ-ზადე ეხება „მაკრატლის“ საკითხს. მრეწველობა ისე უნდა მოეწყოს, რომ მისი ნაწარმოები სოფელმა იაფად შეიძინოს. უნდა გაძლიერდეს ა.-კ. ფედერაციის ეკონომიური საბჭოს მუშაობა, რომელმაც გავლენა უნდა იქონიოს სამეურნეო ორგანოებზე და ტრესტებზე. შემდეგ აღნიშნავს სასოფლო მეურნეობის დეფექტებს და „ზაკვოდხოზის“ ნაკლს და მიუთითებს სასოფლო მეურნეობის აღსადგენ ზომებზე გადასახადები რიგიანად ვერ არის გაწერილი მოსახლეობაზე; ზოგს მაზრაზე დიდი გადასახადია შეწერილი, ზოგზე მცირე და ეს იმიტომ, რომ ერთგან გლეხები მალავენ მიწის რაოდენობას, მეორეში არა. ამიტომ საჭიროა მიწების აღრიცხვა.

ამხ. ყულიევს საჭიროდ მიაჩნია ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების მომწესრიგებელი ორგანოს არსებობა. უმაღ. ეკონ. საბჭო დაკავშირებული არ არის სამეურნეო ორგანოებთან და ამიტომ იგი უნდა გახდეს მომწესრიგებელ ორგანოდ. ამხ. ყულიევის სიტყვის შემდეგ, თავმჯდომარე ამხ. ცხაკაია სთხოვს დელეგატებს დაესწრონ აღლუმს ჯარისას, რომელსაც გადაეცემა საბჭოთა კავშირიდან წითელი დროშა.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

გრძელდება კამათი ამხ. მიასნიკოვის მოხსენების გარშემო.

ამხ. ალიევ თეიმური, აკრიტიკებს რა ამხ. მიასნიკოვის მოხსენების მთავარ დებულებებს, გამოსთქვამს რწმენას, რომ ყრილობა მივა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მეურნეობა და სამეურნეო ფორმები მოეწყოს არა ადმინისტრატიულ დაყოფასთან შეფარდებით, არამედ სამეურნეო ცხოვრების განვითარების კანონის თანახმად.

ამხ. ტალი-ბლის ამტკიცებს, რომ ა.|კავკასიის რესპუბლიკის ფინანსების გაერთიანებას დიდი რამ სარგებლობა ჩვენი ფედერაციისთვის არ მოუტანია, პირიქით, ეს გაერთიანება ცალკე რესპუბლიკებს დაბრკოლებად ელობება უფრო მჭიდრო კავშირი იქონიონ საბჭოთა კავშირთან. წყლის მეურნეობის მოგვარება, ოპონენტის აზრით, სავსებით გადაჭრის მიწის საკითხს, რადგან ველების მორწყვით რესპუბლიკას შეემატება რამდენიმე ასი ათასი დესეტინა მიწა, რომელიც დღეს უქმია.

ამხ. შამედოვ-ქურბანი მიუთითებს საძოვრების, წყლის მეურნეობის და მებამბეობის მოუწესრიგებლობაზე.

ამხ. ერქომაიშვილი არ ეთანხმება იმ ორატორებს, რომელნიც მოითხოვენ გადასახადების შემცირებას და კრედიტების გადიდებას, რადგან ეს უკანასკნელი გარემოება გამოიწვევდა ემისიის გადიდებას. ამ მოთხოვნის შესრულება სრულიად დაუკარგავდა ფასს ამ. | კავკ. ფულის ნიშანს, გამოიწვევდა ფინანსების სრულს კრახს და ქვეყანას ეკონომიურად გააკოტრებდა.

ამხანაგ მიასნიკოვის საბოლოო სიტყვა.

აძლევს რა პასუხს ყველა ორატორს, ამხ. მიასნიკოვი დასასრულს აცხადებს, რომ ყრილობამ წამოაყენა ბევრი საჭირბოროტო საკითხი, რომლის ცაკისათვის გადაცემა უმჯობესია. ყრილობამ გამოარკვია, რომ მნიშვნელოვანი უთანხმოება ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში ყრილობის დელეგატთა შორის არ არის, ამიტომ საჭიროა ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულ იქნეს თეზისებსა და რეზოლიუციაში.

ამხ. მიხა ცხაკაიას წინადადებით ყრილობა ირჩევს 9 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელსაც ევალება ყრილობას წარუდგინოს დამუშავებული თეზისები.

ა.-კავკასიის ფინანსები.

(მომხსენებელი ამხ. გუსეინოვი)

მოხსენების დასაწყისში ამხ. ეხება ა.|კავკ. ფულის სისტემათა გაერთიანებას, ურომლისოდ ა.|კავ. ფედერაციას დასაყრდენობი ბაზა არ ექნებოდა. რეფორმამ დადებითი შედეგები გამოიღო. შემდეგ გადადის ჩერვონეცის შემოღების მიზეზებზე, ჩერვონეცის, რომელიც ხდება ღირებულების ნამდვილ საზომად და ანგარიშოპერაციების საშუალებად.

მომხსენებელი გადადის იმ ზომებზე, რომელიც მიღებულ იქნა ფინ. სახ. კომ. მიერ ჩვენი ფინანსების გასაჯანსაღებლად (სხვადასხვა კურსის მოსპობა და საფონდო ბირჟების დაარსება ტფილისში, ბაქოში, ბათომში და ერევანში).

ა.-კ. ფულის ნიშნები იქნება ხმარებაში მანამდე, ვიდრე არ შეიქმნება მტკიცე უდეფიციტო ბიუჯეტი, ამიტომ ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ შევაჩეროთ მისი (ა.-კ ფულის ნიშნების) დაცემა. ამ საქმეში ფინ. სახ კომ.-ს დახმარება უნდა გაუწიონ საკრედიტო დაწესებულებებმა, უმთავრესად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორამ.

კრედიტისა და ფულის ტრიალის დარგში ჩვენი მიზანი უნდა იყოს: 1) ა.-კ. ფულის ნიშნების განმტკიცება, 2) საკრედიტო ოპერაციების გაძლიერება, 3) შემნახველი სალაროების ქსელის გაფართოება და 4) ბირჟების მოქმედების გაძლიერება და მათთვის ბაზრის დაქვემდებარება.

მოხსენების ნაწილის მოსმენა გადადებულ იქნა შემდეგ სხდომაზე.

მეოთხე დღე

დილის სხდომა თავმჯდომარეობს ამხ. მუხაბეგოვი.

ა. | კავკასიის ფინანსები.

მომხსენებელი ამხ. გუსეინოვი გადადის ა|კავ. ბიუჯეტის განხილვაზე. საკავშირო საბჭოს დეკრეტით, არსებობს ორი ბიუჯეტი—საერთორესპუბლიკანური და ადგილობრივი (რესპუბლიკანური) ა|კავ. ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს შეადგენენ: ნატურალური გადასახადი, სასურსათო დოტაცია, ტრანსპორტი, არაპირდაპირი გადასახადები, შინაური და საგარეო ვაჭრობა. ადგილობრივ ბიუჯეტი საზრდოობს სამრეწველო გადასახადებით, შემოსავლის კვალობის და შრომის ბეგარისთვის გადასახადები და სხვა.

საერთოდ საბიუჯეტო მუშაობა ძალიან ძნელი გამოდგა. ადგილებს არ ჰქონდათ არც სალარი და არც გამოცდილება, არ იყო აპარატი და არც მომუშავენი. ძნელი იყო ანგარიშის წარმოება—მერყევი ვალიუტის გამო. მიუხედავათ ამისა, შეუძლიათ ბიუჯეტის შედგენა სამი კვარტალისათვის იანვარ—დეკემბრისათვის. შემდეგ მომხსენებელს დაწვრილებით მოჰყავს ცნობები ა|კავ. ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლიდან: 1922 წელს ყოველგვარ გადასახადიდან შემოსავალი ყოფილა 1.678 647 ჩერვ. მანეთი, ხოლო 1923 წელს 3.200.000 ჩერვ. მანეთი. ზრდა-აშკარაა. შემდეგისათვის ჩვენ უნდა შევამციროთ ფასი არა მარტო პროდუქტებზე, არამედ უნდა დაუკლოთ აქციზებს და ამ შემცირების ნაცვლად უნდა გამონახულ იქნეს შემოსავლის სხვა წყარო.

ფინ. სახ. კომ. მოქმედებაში მრავალი ნაკლია. გასული წელი იყო საორგანიზაციო მუშაობის წელიწადი მომავალ წლისათვის ჩვენ, ვითვალისწინებთ რა ყველა შეცდომებს და ნაკლს, უნდა გამოვასწოროთ ისინი. მოხსენების გარშემო კამათი არ გამართულა. ამხ. ვრაჩევის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა და დაევალა 9 კაცისაგან შემდგარ კომისიას მისი დამუშავება. კომისიაში შედის ამხ. გუსეინოვიც.

წითელი ლაშქარი.

(მომხსენებელი ამხ. ეგოროვი).

ამხ. ეგოროვი, რომელსაც ყრილობა დიდი ოვაციებით ეგებება, ამბობს, რომ ჯარის ორგანიზაცია გადავიდა სამილიციო-ტერიტორიალურ სისტემაზე, რაც ჩვენ დიდ უპირატესობას გვაძლევს. ამ სისტემით ჩვენ მშრომელ ახალგაზრდას არ ვაშორებთ საწარმოო მუშაობას და ამავე დროს ვაძლევთ საშუალებას გაიაროს სამხედრო სწავლების სათანადო პროგრამა. ასეთი სისტემით შექმნილი ჯარი პირველ მოწოდებისთანავე მზად იქნება ჩვენ მონაპოვართა დასაცავად.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კავკასიის წითელ დროშოვან არმიის საამშენებლო მუშაობაზე, რომელმაც ჯარს შემატა ახალი ძალები, განუმტკიცა ბრძოლის უნარი, განამტკიცა პოლიტიკურად და კულტურულად. დასასრულ მომხსენებელი უსურვებს გამარჯვებას მთელს საბჭოთა კავშირს, ხოლო ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

ამხ. ეგოროვის მოხსენების გარშემო კამათი არ იმართება. ერთხმად მიღებულ იქნა ამხ. ორახელაშვილის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, სადაც ყრილობა კმაყოფილებას და სიხარულს გამოსთქვამს წითელი ჯარის მუშაობით მიღწეულ შედეგების გამო.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა. ცხაკაია.

ა | კავკასიის ტრანსპორტი.

(მომხსენებელი ამხ. შილვა ელიავა).

ამხ. ელიავა კითხულობს მოხსენებას ა | კ. ტრანსპორტის დღევანდელ მდგომარეობაზე და ყრილობას ურდგენს თეზისებს მომავალი მუშაობისათვის.

ყრილობა ამხ. ელიავას მოხსენებას ცნობად ღებულობს და ავალებს ცაკს დაუყოვნებლივ შეუდგეს შარაგზებისა და ჯულფა-ბაქოს რ | გზის ასაგები ფონდების შექმნის საკითხის გადაწყვეტას, ამხ. ელიავას მიერ წარმოდგენილ თეზისების მიხედვით

სამანდატო კომისიის მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. შავერდოვი).

სულ ყრილობას დაესწრო 574 დელეგატი, აქედან გადამწყვეტი ხმით 533. (92,3 პროც.) ხოლო სათათბირო ხმით 41 დელეგატი (7,7 პროც.) **სქესის მიხედვით** ვაჟი—560, ქალი—14.

ეროვნების მიხედვით ქართველი—167 დელეგატი (29 პროც.), თათარი—151 დელ (25 პროც.), სომეხი—148 დელ. (25,7 პროც), რუსი—66 დელ. (11,5 პროც.), სხვა ეროვნებანი—42 დელ. (7,2 პროც.)

სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშა—192 დელ. (33.4 პროც.), გლეხი—107 დელ. (18,6 პროც.), პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებში მომუშავე ინტელიგენტი—275 დელ. (47,9 პროც).

საგანმანათლებლო ცენზის მიხედვით: წერა-კითხვის უცოდინარი 5 დელეგატი, დაბალ განათლებით—350 (60 პროც.), საშუალო განათლებით 164 დელეგ. (29,4 პროც.), უმაღლესი განათლებით 50 დელ. (8,7 პროცენტი)

პარტიულების მიხედვით 549 კომუნისტი (95 პროცენტი). და 25 უპარტიო.

რეზოლიუციების მიღება.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. გუსეინოვის და ამხ. მიასნიკოვის მოხსენებათა გარშემო. რეზოლიუციების პროექტი შემუშავებულ იქნა განსაკუთრებული კომისიების მიერ. რეზოლიუციები იწონებენ ფინ. სახ. კომისარიატის მიერ ჩატარებულ მუშაობას და ავალებს მთელს რიგს ახალი ამოცანების გადაწყვეტას.

ამხ. გუსეინოვის დასაბუთებულ წინადადების თანახმად ყრილობამ დაადგინა გააუქმოს ა.-| კ. სასურსათო კომისარიატი.

არჩევნები

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომში არჩეულნი არიან:

1. აბასოვი კუბა, 2. აზატიანი გ., 3. ალი-ზადე, 4. აგაევი ალირზა, 5. ალავერდოვი, 6. ალი მუხამედ, 7. აზიზბეკოვი, 8. ადამიძე, 9. ადიგეზალოვი, 10. არზნიანი, 11. ახუნდოვი რუხულა, 12. ალი მამედოვი, 13. ალი ისკანდეროვი, 14. ალიევი მუსეი, 15. ამირხანიან შ., 16. ამირალოვი, 17. არუტიუნიანი ბ., 18. ანესოლლიანი, 19. აივაზიანი კ., 20. ამბარცუმიანი, 21. ალა-მალი-ოღლი, 22. ათარბეკოვი, 23. ბახტაძე ნიკ., 24. ბიგულაევი, 25. ბალაბლინსკი, 26. ბაღიროვი, 27. ბალიანი, 28 ბუნიატ-ზადე, 29. ბოგდატიევი, 30. ბოკერია, 31. ბაკუნცი ე., 32. ვარამაშვილი, 33. ვარძიელი, 34. ვაშაძე ვ., 35. ვართაპეტიანი, 36 ვირაპი, 37. ვრაჩევი, 38. გაზარიანი ლ., 39. გასპარიანი ა, 40. ჰუსეინოვი მ. დ., 41 გაჯინსკი, 42. გეგეჭკორი, 43. ღლონტი თ, 44. ღოღობერიძე ლ., 45. გოლუბევა ვ., 46. ღვამიჩავა, 47. გოგია ვ., 48. გაჯუკი (არმია), 49. ჰასანოვი (ვაგზლის გადაღმა მხარეზე) 50. გაჯიევი ხუსი, 51. გორობჩენკო, 52. გინკინი, 53 გოლდბაუმი, 54. გუტინი, 55 ჯულელი, 56. დევდარიანი გ., 57. დურგარიანი, 58. დოლიძე თევდორე, 59. ჯაბიევი, 60. ჯატიევი, 61. ერზიკიანი ა. 62. ესაიანი (სომხეთი). 63. ერქომაიშვილი, 64. ეგოროვი. 65. ელენტი თ. 66. ელუკაშვილი, 67. ივანიანი, 68. ივანოვ-კავკაზსკი, 69. იონესიანი ა. 70. ქართველიშვილი, 71. კურულოვი, 72. კახიანი, 73. კოსტანიანი, 74. კუზნეცოვი, 75. კუჭაიძე, 76. კანდელაკი დავითი, 77. კვანტალიანი, 78. ქურდაძე, 79. ყასიანი ს. 80. ყულიევი ჯ. 81. ყარაევი, 82. ყასიმოვი იუს. 83. ყასიმოვი რახ. 84. კარაკოსოვი არმენ., 85. ყასუმოვი მირბაშირ, 86. კიროვი, 87. ყასუმოვი შამახორსკი, 88. კულიევი მუსტაფა, 89. კრილოვი ვასილი, 90. ყულიევი მაჰერამ, 91. კონუშკინი ივანე, 92. ლაკობა ნ. 93. ლეჟავა ნოე, 94. ლომინაძე ბ. 95. ლორთქიფანიძე, 96. ლუკაშინი ს. 97. მოგილევსკი, 98 მახარაძე ფილიპე, 99. მეგრაბიანი გ. 100. მამიკონიანი ვ. 101. მაცკევიჩი. 102. მრავიანი ა 103. მარტიკიანი ს. 104. მამულია ს. 105. მაშკევიჩი, 106 მათიკაშვილი, 107. მახმუდოვი ჰამიდ, 108 მოწყობილი, 109 მამედხანოვი, 110. მირზოიანი, 111. მიქაძე. 112. მელაძე, 113 მუსაბეკოვი, 114. მიასნიკოვი, 115. ნაგიევი ჯალილ, 116. ნიმერზელი მ. 117. ორჯონიკიძე, 118. უკუჯავა მ. 119. ოსიპიანი გ. 120. ორახელაშვილი მამია, 121. ორახელაშვილი მარიამი, 122. პოკონოვი, 123. პეტროვი, 124. პლეშკოვი, 125. პაშემანსკი, 126. პანკრატოვი, 127. პოზდნეევი. 128. პოღოსიანი ი. 129. პოღოსიანი ვ. 130. რატვეკი 131 როგავა, 132. რუბენი, 133. რაზიევი ნავრუზ, 134 სემკოვი, 135. სულთანოვი გ. 136. სუხიშვილი 137. სტურუა ვანო, 138. სვანიძე ნიკოლოზი, 139. საფაროვი ჰასან, 140. სტეპანოვი, 141. სტეპანოვი 142. სერებროვსკი, 143. ტაკოევი სიმონ, 144 ტატიანი ა. 145. თალიბლი 146 თაიროვი უსუფ. 147. ულიანოვი, 148. ფარნიევი, 149. ხიმშიაშვილი. 150. ხანბუდაღოვი ვიუბ., 151. ხილილოვი, 152. ხანოიანი 153. ხაჩიევი, 154. ხომერიკი, 155 ცატუროვი გ., 156. ცხაკაია, 157. წულუკიძე, 158. ჩანბა, 159 ჩაპლინი, 160. ჩოდრიშვილი, 161. ჩერნიაევი, 162 ჩხეიძე, 163. შაბანოვი, 164 შავერდოვი ალექსანდრე, 165. შახგალდიანი, 166. შახსუვაროვაა, 167. შახბაზოვი ტაგი, 169. შამდინსკი, 170. ელიავა, 171. ეფენდიევი ს. მ., 172. იარიგინი, 173. იაგუბოვი.

კანდიდატებად:

1. ალი-ტაგი-ზადე, 2 ამინიცკი, 3. ატოევი, 4. ალიევი თეიმურ, 5 აკოპოვი, 6. ალარ-აზი, 7. აფანასიევი, 8. ალაევი ბახრამ, 9. ბედია, 10. ბალტინი, 11. ბეკზაროვი, 12. ვინოგრადოვი არ., 13. ვაშაკიძე ვ., 14. ვარდანიანი ფლორა, 15. გაგუა, 16. ვაცეკ. 17. გრიგორიანი 18. გამერნკონ, 19. გიგოიანი, 20. ჰუსეინოვ რალიმ, 21. გიორგაძე, 22. გობეჯიშვილი, 23. გაპალოვი, 24. გუმედინი, 25. ჯავახოვი, 26. დოვლათოვი ისაია, 27. დოშტოიანი, 28. ელიზაროვი, 29. ესაიან ანაიდა, 30 ზაქრაძე, 31. ზაქოიანი, 32. ივლენკო, 33. იმამლი ახუნდოვი, 34. იზმაილოვი, 35. კალანთაროვი, 36. ქავთარაძე აკაკი, 37. ქერიმოვი რუსტამ, 38. რერიმ, 39. ყარაევი ასად, 40. კოდირლი, 41. კისელგოფი, 42. ლაზარევი ს., 43. ლომიძე ლუკა, 44. მარგაროვი, 45. მუხთარ ფაცალი, 46. მგალობლიშვილი, 47. მაცკევიჩი, 48. მელიქ ოსიპოვი, 49. ოსიპოვი ლეონ, 50. ოსეპიან ხ., 51. ოსიპიანცი ვაჰან, 52. პეშკო, 53. ფირალოვი, 54. ფირიაშვილი, 55. პირგულიანი, 56. პარუშინი, 57. რუსტამბეილი, 58. რუმიანცევი, 59. სეითბეილი, 60. საკიანი, 61. საპრაზბეკოვი 62. სამეტ-ზადე, 63. სუპრონი, 64 საფონოვი, 65. სააკიანი გ., 66. სტურუა კ., 67. [illegible], 68. ტირატურიანი, 69. თათეიშვილი, 70. ურუშაძე ამბერკი, 71. ფარაჯა-ზადე, 72. ცხაკაია იოსები, 73. ხოცკევიჩი, 74. ჩიკაროვი, 75. ჩიტალაძე 76. ხეტიანი, 77. ჩაგინი, 78. ხახანაშვილი, 79. ჩხუტიაშვილი, 80. შალიანი, 81. შადუნცი ს, 82. შოლირაძე, 83. ეფენდიევი ბალლა.

საკავშირო რესპუბლიკის ყრილობის დელეგატებად

1. ალი მამედოვი, 2. ალი ისკანდეროვი, 3. ამბარცუმიანი, 4. ბაბაალაევი, 5. ბაღიროვი, 6. ვართაპეტიანი, 7 ვაშაძე ალექსანდრე, 8 ვრაჩევი, 9. გაზრიანი, 10. გეგეჭკორი. 11. გენკინი, 12. ჯაბიევი, 13 ჯალილ ყასიმოვი, 14 ჯატიევი ალ, 15. დოლიძე ანდრო. 16. ეგოროვი (არმია) 17. იბრაჰიმოვი, 18. ივანოვ კავკაზსკი, 19. ილიუზინი, 20 ყარაევი ასად, 21. კარაკოზოვი, 22. კარენიანი, 23. კასპაროვი, 24. კახიანი, 25. კვანტალიანი. 26. კიროვი, 27. კოსტანიანი, 28. ქურდაძე, 29. ლომინაძე, 30. ლუკაშინი, 31. მამულია ს., 32. მათიკაშვილი, 33. მირზოიანი, 34. მიხაილოვა ეკატერინა, 35. მოწყობილი, 36. მზარეულაშვილი, 37. მიასნიკოვი. 38. მუსაბეკოვი, 39. მხითარიანი, 40. ნაზაროვი, 41. ორახელაშვილი, 42. ორჯონიკიძე, 43. ონესაგლიანი, 44. პანჩოხინი, 45. ფანცულაია, 46 რზაევი, 47. სუხიშვილი, 48. საფაროვი, 49 სამეტ-ზადე, 50. სეიტბეილი, 51. ტარანოვი, 52. ტატიანი. 53. ტერ-გაბრიელიანი, 54 ტროფიმოვი, 55. ხანბუდაღოვი, 56. ცხაკაია მიხეილი, 57. ჭელიძე ალექსანდრე, 58. ჩანბა, 59. შუკშინი, 60. შახგელდიანი, 61. ელიავა, 62. ეფენდიევი ბალლა.

კანდიდატებათ.

1. აზიზბეკოვი, 2. ახუნდოვი, 3. აკოპ ბახიანი, 4. ბახტაძე, 5 ვაცეკი, 6. ივანიანცი, 7. კურნიკოვი, 8. მიქაძე, 9. პარფენოვი, 10. პეტროსიანი ბაგრ., 11. პერგულიანი, 12. სვანიძე მ. 13. ჩაგინი, 14. ჩალიანი 15. ჩაპლინი, 16. ეფენდიევი ს. მ., 17. შოლირაძე.

საკავშირო რესპუბლიკის ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების სია არმიისა და ფლოტისაგან

1. აბრამიანი აზოტ, 2. ვინაგრადოვი, 3. გაჯიევი ალექსანდრე, 4. ჯანგველაძე, 5. ეფიმოვი (ფლოტი), 6. კოლჩუშკინი, 7. მაშკინი.

ამიერ-კავკასიის ცაკის პირველი სხდომა

ა.-კ. ცაკის პირველი სხდომა გაიხსნა სასახლის წითელ დარბაზში დღის პირველ საათზე ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგს შეადგენდა: 1) ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმის, 2) სახ. კომ. საბჭოს არჩევა.

მცირე განმარტებითი მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა კომფრაქციიდან წარმოდგენილი კანდიდატთა სია როგორც პრეზიდიუმის, ისე სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში.

ა.-კ. ცენტრალ. აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობა

პრეზიდიუმში შედიან ამხ. ამხ.: ცხაკაია, ალამალი ოღლი, ამბარცუმიანი, კასუმოვი, ჰუსეინოვი, ვ. სტურუა, კახიანი, კასიანი, ბალდატიევი, ბუნიატ-ზადე, გეგეჭკორი, ელიავა, შავერდოვი და ისკანდერი.

პრეზიდიუმის კანდიდატებად არჩეული არიან ამხ. ამხ. იაკუბოვი, ყურულოვი, სუხიშვილი, ბაგიროვი, ინასიანი და კონუშკინი.

პრეზიდიუმის თავმჯდომარეებად: ამხ. ამხ. მიხა ცხაკაია, ალამალი ოღლი და ამბარცუმიანი, მდივნად ალი ისკანდერი.

ა | კ. სახალხო კომისართა საბჭო.

სახალხო კომისარ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მამია ორახელაშვილი, მოადგილეები: ამხ. ამხ. მიასნიკოვი და გუსეინოვი, ფინანსთა სახ. კომისარი და საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ამხ. გუსეინოვი, საგარეო ვაჭრობის სახ. კომ. რწმუნებული ამხ. ივანიანი შრომის სახალხო კომისარი ამხ. იაკუბოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი—ოკუჯავა, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებული ამხ. ელიავა. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი ამხ. ათაბეგოვი, ა | კ. საგანგებო კომისიის (ჩეკას) თავმჯდომარე ამხ. მოგილევსკი.

ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა.

არჩევნების დასრულების შემდეგ ამხ. მუსაბეკოვს შეაქვს წინადადება ნახიჩევანის მხარე ავტონომიურ ოლქიდან გადაკეთებულ იქნეს ავტონომიურ რესპუბლიკად საბჭოთა აზერბეიჯანის პროტექტორატის ქვეშ და მიენიჭოს მას ავტონომიურ რესპუბლიკის უფლებები.

ამხ. მუსაბეკოვის წინადადება ერთხმად მიღებულია. წვრილი კითხვების განხილვის შემდეგ, ცენტრ. კომიტეტის სხდომა ორ საათზე წყდება.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გერმანიის პროფკავშირთა ადგილობრივ კომიტეტების კონფერენცია ვეიმარში *)

კონფერენციის მანიფესტი

25 ნოემბერს ვეიმარში მოწვეული კონფერენცია პროფკავშირების ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენლებისა მოითხოვს პროფკავშირების საგანგებო კონგრესის მოწვევას.

მუშათა კლასის გაჭირვებისა და სილატაკისაგან დასაცავად, საგანგებო კონგრესმა თავი უნდა მოუყაროს გერმანელ მილიონიან მუშაკებს და მუშა-ქალებს აქტიურად საბრძოლველად:

რათა მოიგერიონ რეაქციონული ფაშისტური თავდასხმანი გაფიცვების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და მუშათა პრესის თავისუფლებაზე;

რათა მიიღონ ომამდე არსებული ხელფასი და დაიცვან ეს ხელფასი თავის დაკარგვისაგან;

რათა უზრუნველჰყონ 8 საათის სამუშაო დღე;

საწარმოვო დაწესებულების დახურვის წინააღმდეგ, სამუშაო დროის შემცირებისათვის; უმუშევართათვის სამუშაოს გამონახვისათვის, საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობის დაწყებისათვის, განსაკუთრებით ისეთ მუშაობის, რომელიც მიმართული იქნება საშინაო კრიზისის გადალახვისაკენ; უმუშევართათვის სახელმწიფოებრივ დახმარების აღმოჩენისათვის;

რათა დაიცვან საფრთხეში ჩაყენებული სოციალური კანონმდებლობა;

ხელფასზე გადასახადების გაუქმებისა და ქონებაზე პროგრესიული გადასახადების ფართოდ შემოღებისათვის.

წინააღმდეგ მიწის მფლობელობის, დიდ აგრარიების ოინებისა, დაამშიონ ქალაქის მუშები და მრეწველთა საბოტაჟის წინააღმდეგ.

ყველა ამ ამოცანების განსახორციელებლად კონგრესმა უნდა გამოიყვანოს აუცილებელი და სათანადო დასკვნები. **მან აშკარად უნდა გასწყვიტოს კავშირი წარსულთან და გადაჭრით შესცვალოს სატარიფო პოლიტიკა, ტიკა და არსებული საორგანიზაციო მეთოდები.**

ამისათვის საჭიროა:

პროფკავშირების წარმომადგენელთა გამოწვევა კლასთა თანამშრომლობის ყველა ორგანიზაციებიდან.

პროფკავშირების რეორგანიზაცია და მათი მებრძოლ კავშირებათ გარდაქმნა. მთელ პროფესიონალურ მოძრაობის ორგანიზაციულად შეკავშირება ცენტრალურ მებრძოლ ინსტანციასთან.

პროფკავშირების მოწყობა წარმოების პრინციპის მიხედვით:

„ერთ წარმოებაში ერთნაირი დარგი, ერთნაირი წარმოება—ერთნაირი კავშირი“.

საორგანიზაციო სიმძიმის ცენტრის გადატანა საწარმოვო დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, როგორც პროფკავშირების ძირითადი ორგანიზაციების და მთავარ საყრდენის მოწყობა.

გამარტივება და გაიაფება კავშირის მუშა-აპარატისა კავშირების ზოგიერთი ფუნქციების გადაცემით ადგილობრივ ამორჩეულ მმართველ ორგანოების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ხელში.

ორგანიზაციებში ყველა წევრებისათვის აზრთა თავისუფლების გარანტია, მთელ აპარატის დემოკრატიზაცია და ამ აპარატის გაწმენდა ყველა ისეთ ელემენტებისაგან, რომლებიც მხარს უჭერენ მწარმოებლებთან თანამშრომლობას და აფერხებენ კლასთა ბრძოლას.

ფინანსიური ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლად გახდიან დასმულ ამოცანების შესრულებას ყოველგვარ მდგომარეობაში, თუ ეს ფინანსები ეკონომიურად დაიხარჯება და დაცული იქნება საორგანიზაციო აპარატის მთლიანობა.

ისეთ ილუზიების თავიდან მოშორება, რომ თითქოს მხოლოდ პროფკავშირების ზედა ფენები და საორგანიზაციო აპარატი, თვით წევრთა აქტიურ დახმარების გარეშე, შესძლებენ მუშათა კლასის გაჭირვებასა და სილატაკიდან გამოყვანას.

ამ ღონისძიების გატარება აუცილებელია, თუ საგანგებო კონგრესი შესძლებს თავის ამოცანების გადაწყვეტას. კონგრესმა უნდა გამოიყვანოს გაბედული დასკვნები გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობიდან.

რამდენადაც აუცილებელია ბრძოლა წამოყენებულ განმანთავისუფლებელ პროგრამისათვის, — იმდენადვე აშკარაა, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის საბოლოოდ შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ **პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებით.**

ეს შეგნება უნდა გახდეს ყველა იმათ მანათობელ ვარსკვლავად, ვინც მიიღებენ მონაწილეობას მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში.

ამ შეგნებით უნდა გაიმსჭვალოს თავიდან ბოლომდე პროფკავშირების საგანგებო კონგრესის მუშაობა. ფაშისტების დიქტატურას, სამხედრო ტერორს უნდა დაუპირდაპირდეს მუშათა კლასის გაერთიანებული ძლიერება და პროლეტარიატის დიქტატურა. პოლიტიკური ძალაუფლების დაუპყრობლად შეუძლებელია ფინანსიური გაკოტრების თავიდან აცილება, შეუძლებელია ნამდვილი მტკიცე ხელფასის დაწესება.

მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებით შესაძლებელია მტკიცე ფულის შემოღება, ფასიანი ქაღალდების კონფისკაცია, კაპიტალისტურ ქონების ჩამორთმევა.

ქალაქის მასებს, რომლებიც ამ ჟამად იმშევიან, პური შეიძლება მიეცეს მხოლოდ მაშინ, როცა აგრარიების ბეღლებში შენახული ხორბალი დაუზოგავად იქნება ჩამორთმეული. ყველა ისინი, ვისაც სამუშაო არ აქვს ქუჩაში არიან გამოყრილნი ვინაიდან მწარმოებლები საბოტაჟს აცხადებენ წარმოებას და ხურავენ საწარმოვო დაწესებულებებს, რათა დამშევით გახადონ მუშები უფრო გამგონე და დაუმორჩილონ უსაზღვრო ექსპლოატაციას,—ყველა ამათ სამუშაო მიეცემათ მხოლოდ მაშინ, როცა ამ მწარმოებლების საწარმოვო დაწესებულებები ჩამორთმეული იქნებიან კონფისკაციის წესით. ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პოლიტიკური ძალაუფლება იქნება მუშათა კლასის ხელში.

ამიტომ პროფკავშირების მთელი პოლიტიკა უნდა იქნას მიმართული კაპიტალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ და დაწყებული იქნას ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. პროფკავშირების ხელმძღვანელთა გაქცევა და დადგომა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტის ნიადაგზე დღევანდელ მომენტში ნიშნავს აუცილებელ მოსალოდნელ ბრძოლიდან გაქცევას.

მუშებო და მუშა ქალებო!

ამხანაგებო —პროფკავშირის წევრებო!

მხოლოდ ჩვენს მიერ წამოყენებული პროგრამის ცხოვრებაში გატარება დასძლევს სავსებით გასაგებ უნდობლობას ფართე მუშათა მასებისას, მათ პასიურობას, მათ დაქანცულობას პროფკავშირთა მუშაობაში, დასძლევს მათ დაუთანხმებლობას ანარიცხის და საწევრო გადასახადის შეტანაზე, შეაჩერებს კავშირებიდან გასვლას, მოსპობს განხეთქილებას პროფკავშირებში და თავს მოუყრის ყველა კლასობრივ ძალებს ერთ პროფესიონალურ მებრძოლ გაერთიანებაში. ამიტომ ყველა სახელოსნოებში და წარმოებებში, ყველა პროფკავშირებში და ყოველგვარ კრებებზე დაიკავეთ გარკვეული პოზიცია, ჩვენი კონფერენციის დადგენილებების ნიადაგზე, აიძულეთ პროფკავშირების მაღალი ფენები, რათა მოწვეულ იქნეს პროფკავშირთა საგანგებო კონგრესი.

თქვენს აქტიობაზე, თქვენს დახმარებაზე დამოკიდებულია მუშათა კლასის და თქვენი პროფკავშირების ბედი. პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობისაგან მოვითხოვთ პროფკავშირთა უბრალო წევრების ნება-სურვილისათვის ანგარიშის გაწევას, ჩვენ მოვითხოვთ საგანგებო კონგრესის დაუყოვნებლივ მოწვევას.

გერმანიის მუშების და მუშა-ქალების მილიონების წინაშე ვაცხადებთ ჩვენ, რომ მომავალში აღარ მოვითმენთ პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობისაგან უყურადღებობას პროფკავშირების უბრალო წევრების ნება-სურვილებისადმი, რომლიც გამოთქმული იყო ასობით და ათასობით კრებებზე ურიცხვ ორგანიზაციების მიერ.

თუ პროფკავშირთა გაერთიანების უმაღლესი ხელმძღვანელები ეხლაც დაიჟინებენ ამ დამღუპველ გზაზე დგომას, თუ ისინი არ მოიწვევენ გერმანიის ყველა პროფკავშირების კონგრესს, რომელზედაც ხელახლა უნდა იქნენ არჩეული ყველა დელეგატები,—მაშინ კონფერენციაზე წარმოდგენილი ადგილობრივი ბიუროები თვითვე იკისრებენ ინიციატივას და **საჭირო შემთხვევაში თვითვე მოაწყობენ და მოიწვევენ პროფკავშირების საგანგებო კონგრესს.**

მუშებო და მუშა ქალებო! მძიმეა ჩვენი ბრძოლა, ჩვენი მოწინააღმდეგენი ცდილობენ კონფერენციის და მის მომწვევთა გაკიცხვას! არა პროფკავშირების გადარჩენაზე, არამედ მხოლოდ პარტიულ პოლიტიკურ ინტერესებზე ზრუნავენ ისინი, რომლებიც წინააღმდეგობას გვიწევენ ჩვენ. მაგრამ მთელი ეს ცილისწამება ვერავითარ ჩირქს ვერ მოსცხებს კონფერენციას. ჩვენ კი ვიცით, რომ თქვენ, რომელთაც გაქვთ დიდი გამოცდილება, არავის უფლებას არ მისცემთ იმისათვის, რომ თქვენ აგაცდინონ სწორ გზას და გათიშვა შეიტანონ თქვენს რიგებში. თქვენი პასუხი ამ გამთიშველ ცდებზე—იქნება მხოლოდ გაძლიერებული ინტენსიური მუშაობა ყველა წარმოებებში და კავშირებში მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის სასარგებლოდ.

ჩვენ მტკიცეთ გვაქვს გადაწყვეტილი არა თუ მივიღოთ ეს აუცილებელი ღონისძიებანი, არამედ აგრეთვე გავატაროთ ისინი ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ ამის განხორციელებას შევსძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ გერმანიის მილიონობით მუშებო და მუშა ქალებო, თქვენი ნაცადი თავგანწირული სიმხნევით ჩვენ ამოგვიდგებით მხარში. მხოლოდ გაერთიანებული ძალებით შევსძლებთ ჩვენ ჩვენი ორგანიზაციების ბედის წალმა მოტრიალებას, რაც შეუძლებელია განმათავისუფლებელი ბრძოლის გარეშე. მხოლოდ თქვენი ძალების დარაზმვით და გაერთიანებით შესძლებთ თქვენ დაღუპვისაგან გადარჩენას. მუშაობისაკენ, ამხანაგებო!

ძირს მწარმოებლებთან თანამშრომლობის დამღუპველი პოლიტიკა!

გაუმარჯოს გერმანიის მთლიან, შეკავშირებულ რევოლიუციონურ პროფესიონალურ მოძრაობას!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ წარმოებითი კავშირების და რევოლიუციონური ადგილობრივ კომიტეტების პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანებას!

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლას“.

---

*) იხ. „კომუნისტში“ № 7. წერილი, „ახალი ხანა გერმანიის პროფკავშირების ცხოვრებაში“.

წითელ რესპუბლიკებში

ამხ. ტროცკის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 8 იანვარი. **ბიულეტენში ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ პროფესორები კონჩალოვსკი, ფორსტერი, ჰევზნერი, ალექსანდროვი, გეტიე და ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სემაშკო, ნათქვამია, რომ ამხ. ტროცკის შარშანდელ ინფლუენციის და სასუნთქავ ორგანოების ზედა ნაწილების კატარალური მოვლენების შემდეგ დარჩა სიცხიანობა 38 გრადუსამდე შემჩნეულია სიგამხდრე, მუშაობის უნარის შესუსტება და მადის დაკლება.**

ავადმყოფობის ხანგრძლივობის გამო, რომელიც შეიძლება გამწვავდეს ადგილობრივ ჰავაში, ბიულეტენის ხელისმომწერნი საჭიროთ სთვლიან ავადმყოფისათვის დაუყოვნებლივ შვებულების მიცემას თანამდებობიდან სრულიად განთავისუფლებით კლიმატურ მკურნალობის მიზნით, არა ნაკლებ 2 თვის ვადით.

რუსეთი

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

მოსკოვი. 8 იანვარი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის პროექტით მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, მომავალი წლისათვის გადასახადი შემოღებული იქნება ფულით და გამოანგარიშებული ოქროს მანეთებით. განაკვეთები რაიონებისათვის შემუშავებული იქნება საგლეხო მეურნეობის ტიპების მიხედვით, გადასახადით დაიბეგრება მთელი საგლეხო მეურნეობა და არა მარტო მიწა: მიწის დაბეგვრა უნდა გამომდინარეობდეს მეურნეობის მიწით უზრუნველყოფიდან, სარჩენის მიხედვით, პირუტყვის დაბეგვრა კი—მიწით და მუშა ძალით უზრუნველყოფიდან.

საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომებს უფლება აქვთ შესცვალონ გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით და არა სავსებით ძირიან ფესვიანად შესცვალონ ცენტრის განაკვეთები.

სრულიად საკავშირო ყრილობა საკურორტო საქმეების გასარჩევად.

მოსკოვი. 8 იანვარი. 8 იანვარს გაიხსნება სრულიად საკავშირო ყრილობა საკურორტო საქმეების გასარჩევად.

მიმოსვლის შეწყვეტა მოსკოვ-კურსკის გზაზე.

მოსკოვი. 8 იანვარი. ქარბუქის გამო, მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე შეწყდა მატარებლების მიმოსვლა. დახურულია ზოგიერთი პლატფორმა სამხრეთ-აღმოსავლეთის გზებზე.

ახალი ფული.

მოსკოვი. 8 იანვარი. 7 იანვარს ფინანსთა სახალხო კომისარმა შეიტანა შრომის და თავდაცვის საბჭოში კანონ-პროექტს მტკიცე ვალიუტის გამოშვების შესახებ სახაზინო ბილეთების სახით ოქროს ანგარიშით, 3 და 5 მანეთიანებათ, სულ 20 მილ. ოქროს მანეთის რაოდენობით.

უკრაინა

1923 წლის პურის ექსპორტის შედეგები.

ხარკოვი. 7 იანვ. უკრაინის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გამოიანგარიშა 1923 წლის პურის ექსპორტის ჯამი. პურის დამზადებამ და ექსპორტმა გადააჭარბა ნავარაუდევ ციფრებს. პურის დამამზადებელი აპარატი სათანადო ღირსების აღმოჩნდა; ტრანსპორტი განუწყვეტლად მუშაობდა. საგრძნობი იყო მხოლოდ გემთა რაოდენობის სიმცირე,

ბუხარა

ინგლისის ულტიმატუმის წინააღმდეგ.

ბუხარა. 8 იანვარი. მახლობელ კიშლაკების დეჰკანების მონაწილეობით გაიმართა ძველი ბუხარის მშრომელთა მრავალ რიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაცია ავღანისტანისადმი ინგლისის მიერ გაგზავნილ ულტიმატუმის წინააღმდეგ.

მოსკოველი მუშების სტუმრობა.

ბუხარა. 8 იანვარი. ბუხარის პროფკავშირებმა გადასცეს მოსკოვის მუშების დელეგაციას დროშა წითელი არსენის მუშებისათვის გადასაცემად, უკანასკნელებმა კი თავის მხრივ გაუგზავნეს ბუხარის პროფკავშირებს პროლეტარულ ჰიმნების კრებული. ქარხანა „იზოლიატორ“-ის მუშებმა აირჩიეს ნაზირთა საბჭოს თავმჯდომარე ფეიზულა ხოჯაევი მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრათ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ა ჭ ა რ ა

საშინელი მკვლელობა.

ბათომი. 6 იანვარი. ოზურგეთის მაზრის სოფ. დვაბზუში, სოფლის მცხოვრებმა გალაქტიონ ქარცივაძემ, სახლის კარი შიგნიდან ჩაიკეტა და მთელი თავისი ოჯახი ხანჯლით აკუწა: ცოლი და 3 ქალი ერთი 6 წლისა, მე-2 სამი წლისა და მესამე წლინახევრისა. მკვლელი ოზურგეთის ციხეში გადაგზავნეს.

ხ ა მ ს ა.

ბათომი. 6 იანვარი. ბათომის ზღვისპირას აუარებელი ხამსაა. ოყა (3 გირვანქა) 10 მილიონად იყიდება.

აზერბეიჯანი

ამოღებული ნავთის რაოდენობა დეკემბერში.

ბაქო. 4 იანვარი წინასწარი ცნობებით, ბაქოს სამრეწველოებზე დეკემბრის განმავლობაში ამოუღიათ 22 086.600 ფუთი., ნავთი, ამ რიცხვიდან შინამრეწველობის წესით ამოუღიათ 55.000 ფუთი, მაშინ როდესაც ნოემბერში ყოფილა ამოღებული 1.056.000 ფ ამგვარად 1923-24 წ. მთელი პირველი მეოთხედის განმავლობაში ამოღებული ყოფილა სულ 868.573.000 ფ ნავთი ე ი. 12,329,000 ფუთით (24 პროც.-ით) მეტი წინა საოპერაციო წელთან შედარებით. მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ჩაუბურღიათ სულ 8133 საჟენი, მაშინ როდესაც წარსული წლის პირველ მეოთხედში ჩაბურღული იყო მხოლოდ 2439 საჟენი. საშუალო რიცხვით მუშაობაში მყოფ ჭების რაოდენობა დეკემბრის განმავლობაში უდრიდა 1790-ს, მაშინ როდესაც 1923 წ. 1 იანვარს მხოლოდ 1427 ჭაზე სწარმოებდა მუშაობა.

ბამბის დათესვა.

ბაქო. 4 იანვარი. მიუხედავად კალიის საშიშროებისა, გლეხები ფიქრობენ გაზაფხულიდან დაიწყონ ბამბის მასიური დათესვა.

დახმარება უპატრონო ბავშვებს.

ბაქო. 4 იანვარი. ფართოვდება უპატრონო ბავშვთა დახმარების კამპანია, რომელიც მხურვალე თანაგრძნობას პოულობს მუშათა ფართო მასებში. აზერბეიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოაწყვეს დახმარების ბიურო. მოზრდილებს არ ჩამორჩენ ბავშვებიც, რომლებიც სწირავენ არა მარტო ფულებს, არამედ ტანისამოსს, წიგნებს და სხვა. კამპანიები ტარდება აგრეთვე მაზრებშიაც; შემახის მაზრაში ეწყობა აღნიშნულ საზოგადოების განყოფილება,

პარტიული ცხოვრება

პარტიული დისკუსიის გარშემო

ტფილისის ორგანიზაციების უჯრედების ბიუროების კონფერენციის რეზოლიუცია.

მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის იაჩეიკების ბიუროების კონფერენცია პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად იწონებს რ. კ. პ. ცეკას თეზისებს და საჭიროდ სთვლის ამ საკითხის განხილვას იაჩეიკებში მორიგ ერთიან პარტიულ დღეს.

ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

მოსკოვი. 8 იანვარი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს, კავშირთა ცეკას და მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციების გაერთიანებული კრება ამხ. რიკოვის მოხსენების გამო სავსებით შეუერთდა რ. კ. პ. ცეკას რეზოლიუციას ეკონომიური პოლიტიკის შესახებ და დაავალა კავშირთა ცეკას ფრაქციებს განიხილონ შესაძლებელი შესწორებები და დამატებანი და შეიტანონ ისინი პარტიის ცეკას პლენუმში.

უმრავლესობა ემხრობა ცეკას ხაზს.

მოსკოვი. 8 იანვ. 6 იანვრამდე პარტიულ მშენებლობის გარშემო გამართულ დისკუსიაში ცეკას ხაზს მიემხრენ: პეტროგრადში—81, უკრაინაში—75, ამიერ-კავკასიაში 19, სამხრეთ-აღმოსავლეთში—48, ურალში—24, ციმბირში—4, ყირიმში—3, ვოლგის განაპირა მხარეში—14, ცენტრალურ გუბერნიებში—55, დასავლეთ გუბერ.—10, ჩრდილოეთ გუბერნიებში—2, უფის გუბერნიაში—8, სულ 288 ორგანიზაცია. ოპოზიციის ხაზს მიემხრო მხოლოდ რვა.

ჯგუფები დაუშვებელია.

როსტოვი | დონ. 7 იანვ. საოლქო პარტიული თათბირი სავსებით იზიარებს ცეკას ხაზს, გმობს ყოველგვარ ჯგუფურ გამოსვლებს და შემცდარად სთვლის ამხ. ტროცკის გამოსვლას, რომელმაც გაამწვავა დისკუსია.

განსაკუთრებული ყურადღება კოოპერაციას.

როსტოვი | დ. 7 იანვ. იაჩეიკების ბიუროების საქალაქო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ეკონომიურ პოლიტიკის მორიგ ამოცანების შესახებ, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს პოლიტ ბიუროს ხაზს და დაადგინა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფოებრივ ვაჭრობის და მრეწველობის განმტკიცებას.

[illegible]

ვიატკა. 7 იანვ. ვიატკის ორგანიზაციის საერთო საქალაქო კრებამ განიხილა რა მაზრის მუშაკებთან ერთად საკითხი პარტმშენებლობის შესახებ, ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს ცეკას პოლიტბიუროს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მიერ აღებულ გეზს შინაპარტიულ დემოკრატიაზე. კრება სრულ ნდობას უცხადებს ცეკას და გადაჭრით გმობს ყოველგვარ ისეთს გამოსვლას, რომელიც მიმართულია პარტიის მთლიანობის დარღვევისაკენ.

ცეკას ხაზი სწორია.

ურალსკი 7 იანვ. ქალაქის პარტიული კონფერენცია ერთხმად შეუერთდა ცეკას რეზოლიუციას შინაპარტიულ აღმშენებლობის შესახებ.

პარტიის მთლიანობის ფარული და აშკარა დარღვევა.

სარატოვი. 7 იანვ. სარატოვის ორგანიზაციის საგუბერნიო თათბირი საბჭოთა საგუბერნიო ყრილობის ფრაქციასთან ერთად ესალმება ცეკას გადაწყვეტილებას შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ და წინადადებას აძლევს საგუბერნიო კომიტეტს და გუბერნიის ყველა პარტორგანოებს დაუყოვნებლივ გაატარონ ცხოვრებაში ცეკას გადაწყვეტილება. თათბირი გადაჭრით ილაშქრებს ყოველგვარ ფარულ და აშკარა ფრაქციების, ჯგუფების და ისეთ აზრების და გაერთიანებების არსებობის წინააღმდეგ, რომელთაც შეუძლიათ პარტიის სიმტკიცის და მთლიანობის შერყევა.

ხუფსა

15 დეკემბერს შესდგა თემის გაერთიანებული კომუჯრედების კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება სამაზრო არჩევნების შესახებ, 2. გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა, 3. კომუჯრედთა ხელმძღვანელების არჩევა, და 4. მომავალი მუშაობის შესახებ. პირველ და მეორე საკითხების შესახებ კრებამ მოისმინა ამხ. შ. ტალიძის მოხსენება. შემდეგ მოხდა არჩევნები, ყველა იაჩეიკებში აირჩიეს ახალი ხელმძღვანელები და თვითეულ მათგანზე სამეცადინოთ მიმაგრებულია მოწინავე ამხანაგები. დაარსდა ქალაქის კომუჯრედი, რომელიც დღემდე არ არსებობდა და რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მახლობელ სოფლებს. მომავალი მუშაობის შესახებ კრება მოუწოდებს ამხანაგებს პარტდისციპლინის დაცვისაკენ და პარტშეცადინეობისაკენ. კრებამ გამოიმუშავა დისციპლინა წევრების კრებაზე არ დასწრების შესახებ.

16 დეკემბერს, კვირას გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც დაახლოვებით ორი ათასამდე კაცი დაესწრო. ტრიბუნაზე ადის ამხ. ა. ფარნიევი. მას ტაშით ეგებებიან. მან დაიწყო უბრალო მარტივი გასაგები ენით თავისი მოხსენება. ამხანაგმა გააშუქა, თუ როგორ გახდა საქართველო მენშევიკების ხელში ანტანტის სათამაშო ბურთათ. მან ახსნა და განმარტა მენშევიკების შემცდარი ნაბიჯები ოქტომბრის რევოლიუციის მიმართ. დღეს კი, ამბობს მომხსენებელი, 12 ათასი შეგნებული მუშა და გლეხი გამოვიდა მენშევიკური პარტიიდან და აშკარათ დაადგენ ოქტომბრის რევოლიუციის სწორ გზას და მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზეო. მომხსენებელი მოუთხრობს მიტინგს საბჭოთა კავშირის. გაძლიერებას ეკონომიურ ფრონტზე ის აცნობს მიტინგს მოსკოვის სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობას და დაწვრილებით გადმოშალა ის სურათები, თუ როგორ ალტაცებაში მოდიოდნენ ამ გამოფენის დამთვალიერებელნი როგორც ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქენი, ისე საზღვარგარეთელი სახელმწიფოების წარმომადგენლებიო.

მოხსენებამ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. შებინდებისას მიტინგი სიამოვნებით დაიშალა.

ანი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(9 იანვარი).

ჩერვონცები — —	550,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	530,000
ჩეკები	515 000
დოლარები ეფექტ.	122,000
ჩეკები	110.000
ოსმ. ქაღ. ლირა	77 500
იტალიური ლირა	4800
ფრანგული ფრანკი	6000
საბჭ. ფულის ნიშნები	15

მოსკოვის ფასები.

(8 იანვარი)

პური 1 ხარ. – 3000 ათ., პური 2 ხარ —2500. ათ. ძროხის ხორცი—9500 ათ. ღორის ხორცი 10,000 ათ. შაქარი რაფინადი — 27,040 ათ. ფხვნილი შაქარი —16,150 ათასი ბრინჯი აღდ. 4160 ათ. კარტოფილი—750 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(8 იანვარი).

პური 1 ხარ.—3500 ათასი, პური 2 ხარ.—3000 ათასი, ძროხის ხორცი 12000 ათ. ცხვრის ხ.– 15000. შაქარი რაფინადი—29000 ათ., შაქარი ფხვნილი 17,500 ათ. ბრინჯი აღდ.—6000 ათ , კარტოფილი 1500 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ლეღვები (აქლემის ტყავის); „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია; „ურალმეტ“-ის პროდუქცია, ხორბლეული, და სხვა პურეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რბილი), შვეიცარული ყველი, „კოქსინდიკატ“-ის პროდუქცია, ბორჯომის ქარხნის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახ. მ. ფ. ს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ. ცემენტი და ეტერნიტი, სალომასი, ქვამარილი ნახიჩ.

ბირჟის მოთხოვნილება.

მაკარონი და ვერმიშელი, ყუბანის ფქვილი, რკინა სახურავი, ტეხნიკური ცხიმი, ხორბლეული, „კოქსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინადი და ფხვნილი რუსეთის, მანუფაქტურა რუს., სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის (საკონდიტრო), ფქვილი, საშენებელი ლურსმნები, ასანთი რუს. ქვა-მარილი ნახიჩ.

ოფიციალური გარიგებანი.

ყუბანის ფქვილი 1 მ. 40 კ. ფუთში, ფრანკო-სადგ. ტფილისი.

ზაბიამანი 8 მ. 50 კ. ფ. ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

სალომასი კრასნოდარის—11 მ. ფუთი ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის განწყობილება —უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების კურსმა, რამდენიმე დღის შეჩერების შემდეგ, კვლავ აწევა დაიწყო. ჩერვონცების მოთხოვნილება მეტია, ვიდრე გირვ. სტერლინგის, ამიტომ უკანასკნელის კურსმა დაიწია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

5 იანვარს ბირჟის გარეშე დადებულია 10 გარიგება, სულ 31806 ჩ. მან. თანხისა.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(9 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	550.000,	60 კ.	33.000.000
2 „	1.100.000,	70 „	38.500.000
3 „	1.650.000,	80 „	44.000.000
4 „	2 200.000,	90 „	49 500.000
5 „	2.750.000,	1 მ.	55 000.000
6 „	3.300.000,	2 „	110.000.000
7 „	3 850.000,	3 „	165 000.000
8 „	4 400.000,	4 „	220 000.000
9 „	4.950 000,	5 „	275.000.000
10 „	5.500.000,	6 „	330 000.000
20 „	11 000.000,	7 „	385 000.000
30 „	16 500.000,	8 „	440.000.000
40 „	22 000.000,	9 „	495.000.000
50 „	27.500.000,	1 ჩერ.	550.000.000

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა

მთელი გამოფენის „ტერიტორია“—კომუნისტური აღზრდის ცენტრალური სახლი (ყოფილ სამხედრო სობოროში) ოთხ მთავარ „პავილიონად“ არის დაყოფილი:

დარბაზის შესავალიდან იწყება საქართველო, მარჯვნით აზერბეიჯანია, მარცხნით სომხეთი, საიდანაც შედიხართ საქართველოს რევოლიუციის „პავილიონ“—ოთახში.

თითოეული განყოფილება დაიყოფილია კუთხეებათ, მაგიდებათ, კოლონებათ და სხვა. წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, სურათები, კარიკატურები, დიაგრამები—ნაბეჭდი, ხელთნაწერი, — ყველაფერი რიგზეა დალაგებული.

დიდძალი მასალაა მოგროვილი. შემცდარი იქნება ის, ვინც განიზრახავდა გაზეთში მოთავსებული ანგარიშით გამოფენის გაცნობას. საგაზეთო ცნობა ამ შემთხვევაში მკითხველს მცირედს მისცემდა.

„წითელი არმიელის კუთხე“. (ქართული მსროლელი დივიზია) ამ „კუთხეს“ უკავია შესავლის მარცხენა ადგილი. აქ კედელზე გაკრულია კედლის ხელთნაწერი გაზეთები.

„ჩირაღდანი“, „წითელი ავიაცია“, „პანორამა“—სურათებით, კარიკატურებით, „წითელი არმიელი“.

გაზეთები სხვადასხვა ნაწილებისაა. ერთი მაგ., დივიზიის ყოველკვირეული კედლის გაზეთია, მეორე—პირველი ლეგიონის კვირეული გაზეთი, მესამე—მე 3 ქვეითი ლეგიონის გაზეთი და სხ.

როგორც სჩანს, ყველა ნაწილს თავისი გაზეთი აქვს. ყველა ლამაზი ხელით არის დაწერილი, კარგათ დასურათებული. არის აგრეთვე ნაბეჭდი ჟურნალ-გაზეთები—„წითელი ვარსკვლავი“ (ნაბეჭდი) „წითელი ტალღები“ (ხელთნაწერი), „ლეგიონერის „ტრიუმფი“ და სხ.

ყველაფერი ლამაზად არის გამოფენილი, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს. აქ ვერ იპოვით ცნობას იმას შესახებ—რავდენი მკითხველი ჰყავს ამ გაზეთებს, რავდენი იბეჭდება ან იწერება ხელით, რავდენი საათის შრომა სჭირდება მათ გადაწერას და სხ. და სხვ.

ეს კი, ჩვენის აზრით, გამოფენილ საგნებს თან უნდა ახლდეს.

საქართველოს „რევოლიუციის მუზეუმი“. „რევოლიუციის მუზეუმის“ პავილიონი—ოთახი ყველაზე მდიდარია თავისი ძვირფასი ექსპონატებით.

საკმაოდ არის გამოფენილი როგორც ახალი (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან), ისე ძველი ბეჭდვითი ნაწარმოები, საბუთები, სურათები და სხ.

უნდა შევნიშნოთ, რომ „რევოლიუციის მუზეუმში დიდძალი მასალაა დაგროვილი. მუზეუმს უნდა მიეცეს ყოველგვარი საშუალება, როგორც დაგროვილი მასალის გამოყენებისა, ისე, საქართველოს ფარგლებში მაინც, მასალების შეგროვებისა ჩვენი რევოლიუციონური წარსულიდან, თორემ ჩვენი რევოლიუციონური წარსულის შესახებ მასალების ძებნა მოგვიხდება უცხოეთის მუზეუმებში, რის გამო მომავალი თაობა კარგი სიტყვებით არ მოიგონებს თავის წინაპართ...

უპირველესად ყოვლისა კი, შესაფერი შენობა რევოლიუციის მუზეუმს და შემდეგ, თანდათანობით, სხვაგვარი დახმარებაც...

ის ადგილი, საიდანაც შევუდექი დათვალიერებას, ლამაზად არის კომუნისტური მოძრაობის ბელადთა და ს. ს. ს. რ. მთავრობის წევრთა სურათებით.

აქ არის საქართველოს რევკომების თავმჯდომარეთა პირველი ყრილობის ფოტოგრაფიული სურათი (ჯგუფი).

სურათი უპარტიო ქალთა ყრილობისა 1921 წელს.

ბაქო 1905 წელს,—სურათების კოლექციას, რამდენიმე სურათი გიხატავთ 1905 წლის ბაქოს ქუჩებს. ჰყრიან დახოცილები უწესრიგოთ—ზოგან გოროდოვოი „აწესრიგებს“ მათ.

მეორე კოლექცია,—მოსკოვი 1905 წელს,—ბრძოლის ისტორიას მოგვითხრობს. ბარიკადები: ბევრ ალაგას აგებულია, ბევრ ალაგას აგებენ...

1905—06 წლის სატირიული ჟურნალები; **„Овод“**, **„Пулимет“** **Коса“** და სხვა.

პროკლამაციები, ქართული, რუსული, არკვევენ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ საკითხებს. მოწოდებები მუშებისადმი, გლეხებისადმი, ჯარისადმი მიმართული...

ნ. კალანდარაშვილი (კომუნისტი) სურათი შთაბეჭდილებას ახდენს. წარმოსადეგი კაცი. სხვადასხვა პოზაში—ამხანაგებთან საქმიან სხდომაზე. საბჭოთა ჯარების უფროსი (კომანდირი) ციმბირში; მოუკლავთ თეთრ-გვარდიელებს.

კამოს დიდი სურათი ლამაზ ჩარჩოში. მასთან ერთად შაუმიანი, წულუკიძე. ბაქოს დახვრეტილ კომისართა ჯგუფი...

აგერ რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი მეტეხისა და საგუბერნიო ციხის პოლიტიკური ტუსაღებისა 1907 წელს გადაღებული.

სურათები ჟანდარმერიის არქივიდან: დამჯდარი, დამდგარი, პირდაპირ, განზე გადაღებული. ბევრია ამათში ნაცნობი. ბევრი ეხვევა ამ სურათებს. ზოგი ეძებს თავის სურათს, ზოგი ნაცნობისას.

საგანგებო რაზმში გადაღებული სურათები მიხა ჩოდრიშვილი...

მოხალისეთა ჯარის მისიის მეთაურის გენ. ბარათოვის და საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრის გენ. ოდიშელიძის მოკვლის განზრახვა (საქმე არკადი ელპაქიძისა).

1917 წლის ოქტომბერში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების არქივი (სხვადასხვა მიწერ მოწერა).

გამოძიება ტფილისის ციხეების უფროსის რიმკევიჩის შესახებ.

რიმკევიჩის ბრძანებები.

ერთ ერთ ბრძანებაში, რომელიც გამოცემულია 1909 წლის აპრილის 3 თარიღით (№ 24) ასწერს რა გაზეთის ცნობის თანახმად რუსეთის ერთ-ერთ ქალაქის ციხეში მომხდარ ტუსაღების აჯანყებას თავის ხელქვეით „ნადზირატლებს“ რიმკევიჩი უბრძანებს: თუ აჯანყება მოხდეს რაიმე ნებართვის გამოუთხოვლად ამოჟლიტონ დაუნდობლათ ყველა ტუსაღები.

ს. ს. ს. რ. რევკომის მოლაპარაკება საქართველოს ყოფილ მენშევიკურ მთავრობასთან.

დუშეთის აჯანყება. 1918 წ. ოთხი დიდი რვეული.

შამხორის ამბები. აფხაზავას საქმე. დეპეშები, რომლებიც აფხაზავასთან აღმოაჩნდა სიკვდილის შემდეგ, მისივე სისხლით შეღებილი. პირდაპირი მავთულით ლაპარაკი: დიდძალი ლენტები.

საქმე ალექსანდროვის ბაღში მიტინგის დახვრეტის შესახებ 1918 წლის თებერვლის 10-ს. წინასწარი გამოძიება. დაიწყო თებერვლის 10 ს, დამთავრდა ივლისის 8-ს 1918 წელს.

პროვოკატორები: აზეფი, კობიაკოვი, ცინცაძე, რამიშვილი, კოპალეიშვილი და სხ.

ლაგოდეხის აჯანყება 1919 წელს. ფოტოგრაფიული სურათები: სამხედრო საბჭო; რაზმების შეიარაღება, არალეგალური კონფერენცია სოფ. ანაგაში ფიცის დადება. უკანასკნელი სხდომა რევოლიუციონური კომიტეტისა ს. ანაგაში 1919 წლის ოქტომბრის 22-ს. ბრძანების გაცემა შეიარაღებულ რაზმისადმი და სხ...

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები 1921 წლისა თებერვლის 25-ს და შემდეგი რიცხვებისა.

რუსულ ენაზე ამერიკაში გამოცემული მუშათა გაზეთი—**„Американские известия“—орган российских рабоч. организ. 11 июля 1921 года. № 155 (176) цена 3 сента.**

1905 წლამდე გამოცემული არალეგალური გაზეთები. 1905 წლის ლეგალური გაზეთები პეტერბურგისა **„Новая жизнь“, „Начало“** და სხ. გაზეთი **„Елизаветпольский Вестник“ 14 (27) декабря 1905 г. № 17** —ეს გაზეთი გამოვიდა ტფილისში „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვის შემდეგ.

გ.

(გაგრძელება იქნება).

წითელ ჯარში

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი

1923 წელს 1 აგვისტოს დაარსდა ქართულ მსროლელ დივიზიასთან სამთვიანი სამხედრო პოლიტიკური სკოლა, რომლის უფროსად დანიშნული იყო ამხ. კალ. გიორგაძე. ამ სკოლაში მოწვეული იქნენ კურსანტები როგორც სამხედრო ნაწილებიდან, ისე მაზრებიდან. სულ მათი რიცხვი უდრიდა 50 კაცს. კურსების მდგომარეობა ვერ იყო მტკიცე სხვადასხვა მიზეზების გამო. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ამხ. გიორგაძე შეუდგა ენერგიულ მუშაობას და თავს იდვა კურსანტების აღზრდა როგორც პოლიტიკურ დარგში, ისე სამხედროში. მას სხვა ლექტორების მაგივრად უხდებოდა ლექციების კითხვა.

მსმენელები, კურსების დამთავრების შემდეგ, გაგზავნილ იქნენ სხვადასხვა ლეგიონებში პოლიტხელებათ და პოლიტხელების თანაშემწეებათ. ნაწილი გადაგზავნეს თავთავიანთ მაზრებში სხვადასხვა თანამდებობაზე. კურსანტების ნაწილი-კი დარჩა ერთ წლიან სამხედრო პოლიტიკურ სკოლაში, რომელიც ძველი სამთვიანი სკოლის ნაცვლად იქნა დაარსებული. ეს სკოლა დამტკიცებულია ცენტრის მიერ. სკოლის უფროსად დანიშნეს ამხ. ვარლამ გაბუნია, მაგრამ ამხ. გიორგაძე, როგორც კურსანტების აღმზრდელი და ერთგული მუშა, საჭიროა დატოვებულ იქნას ჩვენ სკოლაში ლექტორათ.

გ. ლ.

მეცნიერება და ტეხნიკა

„ფორდიზმი“.

თუ როგორ მექანიზაციას მიაღწია შრომის პროცესმა, ამას ნათლად ამტკიცებს პროფ. ლავროვის მიერ პეტროგრადში გაკეთებული მოხსენება „ფორდიზმი“-ს შესახებ. პროფესორი ლავროვი ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც ის გაეცნო წარმოების სისტემას ამერიკის ფაბრიკა-ქარხნებში და სხვათა შორის ინახულა ცნობილი ფორდის საავტომობილო ქარხნები. ფორდის წარმოების სისტემას ახასიათებს ვიწრო სპეციალიზაცია ერთ რომელიმე საგანზე და შრომის სწორი განაწილება წარმოებაში.

სპეცი ხელოსნები წარმოების ასეთი სისტემის დროს არ არის და არც არის საჭირო. ადამიანი შეიძლება შეცდეს, ამიტომ არც ერთ საპასუხისმგებლო სამუშაოს ადამიანი არ ასრულებს. ყველაფერი დაკისრებული აქვს მანქანას და ისიც პირდაპირ განსაცვიფრებელი, ზღაპრული სისწორით ასრულებს დავალებას. წარმოების „პროცესი მიმდინარეობს რიტმიულად, როგორც მუსიკა“—სთქვა ლავროვმა.

ელექტრონის სახლი.

ნიუ-იორკში გაიხსნა მუდმივი გამოფენა—„ელექტრონის სახლი“, რომელშიც ყველაფერი ელექტრონის ენერგიის გამოყენებაზეა დამყარებული. სასადილოში არის—მანქანა ყავის ასადუღებლათ, სამოვარი სხვ., საწოლ და საბინაო ოთახში არის გასათბობი ბალიშები, თმის საშრობი, საკერავი მანქანა, რადიო-ტელეგრაფი.

საჭმელს ამზადებენ სპეციალური ელექტრონის აპარატები.

ყველა ოთახებში არის ტელეფონები, ოთახი იწმინდება ელექტრონის მანქანის საშუალებით.

ვაქცინა დაღლილობის წინააღმდეგ.

ინგლისის მასწავლებელთა ნაციონალურ ყრილობაზე ლონდონში ექიმმა რობერტ არმსტრონგმა განაცხადა, რომ სწარმოებს ცდები დაღლილობის წინააღმდეგ ვაქცინის აღმოსაჩენად. ვაქცინა შესაძლებლობას მისცემს ადამიანს დახარჯოს ენერგიის მაქსიმუმი და არ იგრძნოს დაღლილობა.

მუშათა ცხოვრება

ჩათახის ქარხნის მუშებში.

ჩათახის ქარხანის მუშების მიერ შანშიაშვილის რეჟისორობით დაიდგა შემდეგი პიესები: „მსხვერპლი“, „ჟაჰალები“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „სიკვდილი ჩრდილოეთში“, „რევოლიუციის მოლოდინში“ და სხ რევოლიუციონური პიესები. გაიმართა წარმოდგენები რუსულ ენაზედაც, მონაწილეობას ღებულობენ თვით მუშა-მოსამსახურენი, სოფელ ბოლნის და ხაჩინის ახალგაზრდა კავშირის თაოსნობით სდგება სომხური დრამატიული წრე, რომელიც გამართავს ხოლმე წარმოდგენებს. ერთი სიტყვით მუშები დიდს სიყვარულს და უნარს იჩენენ დრამატიულ წრის მუშაობაში. მადლობის ღირსია ალ. შანშიაშვილი, რომელმაც შექმნა, დაარსა კულტურული წრეები და თვითონვე ხელმძღვანელობს, ხშირად თვითონ რეჟისორს უხდება ხოლმე ქალის როლის ასრულება, რადგანაც მოთამაშე ქალები სულ ცოტა მოიპოვება.

ქარხანასთან არსებობს აგრეთვე ამბულატორიაც და წამლებიც საკმაო რაოდენობით. ამბულატორიაში მუშაობს ფერშალი, არ არის ექიმი, რაც დაუშვებელია, ასეთ ქარხანაში, როგორც არის ჩათახის ქარხანა, ექიმი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. რამდენადაც ვიცით, სახ. ჯანმრთელობის კომისარიატი შეჰპირდა ჩათახში ექიმის გაგზავნას, მაგრამ ჯერაც ამ მხრივ არაფერია გაკეთებული. ამას უნდა ყურადღება მიექცეს, თორემ უექიმოდ შეუძლებელია ამბულატორიის არსებობა და მუშებისათვის ექიმის ყოლა დიდს საჭიროებას წარმოადგენს.

მუშკორი შელითონე.

მუშები უპატრონო ბავშვებს დიდ ყურადღებას აქცევენ.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ამ ხანებში როსტოვიდან ჩამოვიდა დაკარგული ქალიშვილი (12—13 წლისა). მას სადგურზე ვერავინ იცნობდა, ვერც თვითონ სცნობდა ვინმეს. ბავშვი ცხარედ სტიროდა და ითხოვდა, რომ ვინმე პატრონობა გაეწია მისთვის. საქონლის სადგურის მახლობლად გარს შემოერტყა ბავშვს მთელი ბრბო. ვითომდა ყოველი მათგანი თავის თავზე იღებდა ბავშვის პატრონობას. ნამდვილად კი მათ უნდოდათ ბავშვი მოეტყუილებიათ და წაეყვანათ თავის მხეცური ჟინის მოსაკლავად. ქუჩის ამ ავარებიის განზრახვა შეამჩნიეს დროზე საქონლის სადგურის პატიოსან და შეგნებულ მუშებმა და ბავშვს მოაშორეს ეს ზნედაცემული მხეც-ადამიანები, და ერთმა მუშამ ამხ. ჟორდანიამ თვითონვე იკისრა ბავშვის მამობრივი მზრუნველობა. მან აიყვანა უპატრონო ბავშვი და მიაბარა თავის დიასახლისს, რომელიც არ აკლებს ბავშვს დედობრივ მზრუნველობას ამხ. ჟორდანიას დახმარებით. სამწუხაროდ ღარიბი მუშა ვერ ახერხებს მომავალშიც ბავშვის შენახვას, თუ მას ვინმემ არ დაეხმარა. კარგი იქნებოდა, რომ ეს სუსტი ქმნილება, ბავშვი-ქალი რომ არ გახდეს ქრისტინესებური უბედური, მოთავსებულ იქნეს რომელიმე თავშესაფარში, ან სახელოსნო სკოლაში.

იმედი გვაქვს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი და ქალ. აღმასკომი მიაქცევს ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას.

მუშა-კორესპ. **გიორგი დანდუროვი.**

სიბინძურემ შეგვაწუხა.

(ქალაქის მეორე უბნის სანიტარულ ექიმის საყურადღებოდ).

პრიუტის ქუჩაზე (მე-2 უბანში) სახლ № 38-ში სცხოვრობს სულ 4 ოჯახი. ეზოს სივრცე არ აღემატება ოთხ-ოთხკუთხ საჟენს. ასეთ სივიწროეში ერთი მდგმურთაგანი ნახულობს შესაძლებლად იყოლიოს ქათმები, რომელთა წყალობით ვერავითარი გზით სისუფთავის დაკავება ვერ შევსძელით. ამ ეზოთი გავლაც შეუძლებელია, არამც თუ აქ ცხოვრება. საჭიროა სანიტექიმმა აქ ერთხელ მაინც შემოიაროს.

მუშკორი **ახლობელი.**

ეს უსამართლობა უნდა გამოსწორდეს

(რკინის გზის ტექნიკურ კამისიის პროფკავშირის საყურადღებოთ)

ვაგონის პარკში ტექნიკ. კამისიას ჰქონდა სხდომა ამხ. აკიმენკოს თავმჯდომარეობით. სხდომაზე გაირჩა დაახლოებით 150 სხვადასხვა საქმეები. სხვათაშორის იქნა სამუდამოდ გაძევებული რკინის გზიდან დამლაგებელი პაპოვი 3, რომელიც მუშკორის ჩვენებით პრესაში იყო დასახელებული, როგორც ლოთი და—არა კეთილსინდისიერი პირი. ჩვენ, მუშები, მადლობას უძღვნით კომისიას ამ გაუწორებელი ლოთის დათხოვნისათვის. მაგრამ არის შეცდომა კომისიის მოქმედებაშიც. მაგ. სრულიად უსამართლოდ არიან დასჯილნი ძველი მუშები ვანიშვილი და კაზლოვსკი, რომელნიც ჩამოაყენეს უფრო დაბალ სამსახურზე. დეპოს ადგილკომმა კი მოითხოვა სრულიად სამართლიანად რათა დაებრუნება ძველ სამსახურზე, მაგრამ კომისიის თავმჯდომარე აკიმენკომ გაილაშქრა ადგილკომის წინააღმდეგ. რა არის მიზეზი? ვინ სტყუის მათ შორის? ჩვენ მოვითხოვთ გვიპასუხონ როგორც ადგილკომმა, აგრეთვე კომისიის თავმჯდომარემაც; ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ სიმართლე ადგილკომს აქვს. ის მიუდგომელია და სამართლიანი. კომისიის თავმჯდომარე კი ხშირად „ნათლიმამობასაც“ კი კადრულობს, საბუთები ბევრი გვაქვს. ამიტომ მოვითხოვთ ხელმეორეთ გადისინჯოს ვანიშვილის და კაზლოვსკის საქმეები და ისინი იქმნან აღდგენილი თავიანთ უფლებებში.

მუშკორი **რკინისგზელი.**

მუშებს უნდა მიეცეთ ხვედრი ულუფა

(რკინისგზელთა პროფკავშირის საყურადღებოდ).

ტფილისის რკ. გზის აბანოების მუშა-მოსამსახურეებს აგერ ოთხი თვეა, რაც საპონი არ მიუღიათ. ნეტავ სად მიდის მათი კუთვნილი საპონი? რად არ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას საუბნო პროფკავშირი.

მუშკ. **„ჟუკ“.**

პასუხად მუშკორ ამხ. ჯაშს

(იხ. „კომუნისტი“ № 2)

გაზეთ „კომუნისტის“ № 2-ში მოთავსებული იყო წერილი „მუშათა კრედიტის შესახებ“, რომელშიაც ამხ. ჯაში მიუთითებს მთლიან მუშათა კოოპერატივის გამგეობას იმ გარემოებაზე, რომ მუშათა კოოპერატივის დუქნებში ნაკლებად მოიპოვება იაფ-ფასიანი ფართლეულობა, რომელიც უმთავრესად ესაჭიროება მუშებს, მაგ. უბრალო ნარმა.

აქ ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ უბრალო ნარმა ხალიან ძნელი საშოვნელი არის და თუ შეიძლება იმის შოვნა—მარტო მოსკოვში, სადაც ყიდიან მარტო ნაღდ ანგარიშზე და ამავე დროს გადიდებულ ფასებში.

მიუხედავად ამისა მუშათა კოოპერატივის დუქნებში არის გადაცემული უბრალო ნარმა მარტო მუშების დასაკმაყოფილებლად; რაც შეეხება სხვა იაფ-ფასიან ფართლეულობას, იგი არის ზომიერად მუშათა კოოპერატივის დუქნებში, საიდანაც ეძლევათ მუშებს საქონელი ნისიად.

საქონლის გაცემის დროს შეცვლა კი ყოვლად შეუძლებელი არის, რადგანაც 4 საათამდე სწარმოებს ვაჭრობა ნაღდ ანგარიშზე—და თუ ამავე დროს დარიგდება საქონელი ნისიად. ეს შეაფერხებს საზოგადოდ ვაჭრობას. ამჟამად ნისიად საქონლის გაცემა მინდობილი აქვს 5 მაღაზიას, სადაც სწარმოებს მუშაობა 4—8 საათამდე.

მიიღო რა მხედველობაში გამგეობამ ის გარემოება, რომ საქონლის ნისიად გაცემას ამ უკანასკნელ დროს თხოულობენ ბევრი დაწესებულებანი, განსაზღვრული აქვს ახლო მომავალში ნისიად საქონლის გაცემა დაავალოს კიდევ 2—3 დუქანს. მაგალითად №№ 11 და 2 მაღაზიებში საქონლის გაცემა დაიწყება 12 საათიდან და გასტანს საღამოს 7 საათამდე. საქონლის ნისიად გაცემა გადაწყვეტილი იყო აგრეთვე კვირადღეობით, მაგრამ კვირაობით არავინ არ გამოცხადდა დუქნებში საქონლის წასაღებად.

ამ წერილში ჩვენ აგრეთვე საჭიროდ ვთვლით მივაქციოთ ყურადღება არა სასიამოვნო მოვლენას, რომელსაც აქვს ადგილი ამ უკანასკნელ ხანებში ტფილისში არსებობს განყოფილება ეგრედ წოდებული „სინშვეინპრომ“-ი, რომლის აგენტებიც ავრცელებენ ქალაქში ხმას ვითომდა მუშათა კოოპერატივში ნისიად გასაცემი საქონელი უფრო ძვირია, ვიდრე იმათ დაწესებულებაში და აზრს აშენებენ იმ საფუძველზე, ვითომდა მუშათა კოოპერატივი აძლევდეს მუშებს მათგან ნაყიდ საქონელს, რომელიც უმატებს თავის საორგანიზაციო ხარჯებს,—რაც საგრძნობელ ტვირთად ედებათ მუშებს.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილი აგენტების მიერ გავრცელებული ხმები არის მოკლებული სიმართლეს, ვინაიდან მუშათა კოოპერატივი „სინშვეინპრომის“-გან არაფერს არ ყიდულობს. მოყვანილი ამ წერილში სამწუხარო მოვლენა შეუძლიან დაამტკიცოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ადგილკომმა.

მუშკოოპის გამგეობა.

ქრონიკა

— **ლექცია.** პარასკევს 11 იანვარს 24 წ. საღამოს 8 საათზე ჯ. ს. კ. საფარმაციო განყოფილების დარბაზში (ივ [illegible] ქ. № 12) შესდგება ლექცია ექიმ გედევანიშვილისა შემდეგ თემაზე: „[illegible]“. ყველა კავშირის წევრს შეუძლიან უფასოდ დასწრება.

ამხ. სემაშკოს წერილი. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა 7 იანვარს მოსკოვიდან მიიღო საბჭოთა რუსეთის ფედერატიულ კავშირის ჯანმრთელობის კომისარის ამხ. სემაშკოს წერილი. სემაშკო თავის წერილში დიდმნიშვნელობას აძლევს საგლეხო კომიტეტებს და მოუწოდებს ჯანმრთელობის ორგანოებს—ჯანმრთელობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ სოფლად მჭიდრო კავშირი დაიჭირონ საგლეხო კომიტეტებთან.

— **კულტურული შეფობა სოფელზე.** საქართველოს საგანგებო კომისია თავის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. წილკანში გლეხებისთვის ხსნის საექიმო პუნქტს.

— **შემნ. ხვალ გამოსახსნელი სალარო.** 10 იანვარს ავლაბარში (კახეთის მოედანზე) გაიხსნება კიდევ ერთი შემნახველ გამოსახსნელი სალარო.

— **სოფლის აფთიაქები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადაწყვიტა სოფლის აფთიაქები პროვინციებში იჯარით გადასცეს სამაზრო აღმასკომს.

— **მოხსენებები რევოლიუციონურ მოძრაობიდან.** განათლების კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ მმართველობის მიერ უახლოეს მომავალში განათლების მუშაკთა სახლში მოეწყობა მთელი რიგი მოხსენებისა—რევოლიუციონურ მოძრაობიდან. პირველი მოხსენება „9 იანვარი“ წაკითხული იქნება 10 იანვარს მარიამ ორახელაშვილის მიერ.

— **საქონელი და სურსათ-სანოვაგე გლეხებისათვის.** ოზურგეთის და [illegible] მაზრის კომიტეტებმა სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის საშუალებით ტფილისში დიდძალი საქონელი და სურსათ-სანოვაგე შეიძინა გლეხებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში და სარიგებლოთ.

— **სრ. საქართველოს საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** ახლო ხანში ტფილისში შესდგება სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების ყრილობა.

— **სამხედრო რევტრიბუნალში.** 10 იანვარს ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალი გაარჩევს მოქ. მოქ. ბალახაშვილის, ალნიაშვილის, ინჯიას, ოსკანაშვილის საქმეებს, რომელთაც ბრალდებით თავიანთ მოვალეობათა ასრულების დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენა.

— **აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში.** დღეს, 9 იანვარს აღ. საქ. საოლქო სასამართლოში დანიშნულია ალექსანდრე ჭინტურიას საქმე, რომელთაც ბრალდება პატარა ქალის გაუპატიურება.

— **ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზა.** ამ დღეებში გაემგზავრება სპეციალური კომისია სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა.—კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის და ა—კ. რკინისგზის წარმომადგენლების მონაწილეობით ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზის ხაზის დასათვალიერებლად და მისი ა.—კ. რკინისგზების სამმართველოსთვის ჩასაბარებლათ.

— **დაკარგული ბარგის რაოდენობა.** 1923 წ განმავლობაში ა.—კ. რკინისგზებზე დაიკარგა სხვადასხვა ბარგი 2909 ფ. და 28 გირ. ხოლო 1922 წ. კი დაკარგულია—32916 ფუთი.

— **წყალსაზომები.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს მოახდინოს განკარგულება, რათა ყველა საბჭოთა დაწესებულებებმა შეიძინონ მათ მიერ დაკავებულ სახლებისათვის წყალსაზომები და აგრეთვე თავის დროზე გადაიხადონ წყალის გადასახადი.

— **შრომის ბირჟა.** 7 იანვარს შრ. ბირჟაზე გამოცხადდა 18 უმუშევარი ახლად ჩაეწერა 72 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა—20, მოთხოვნილება იყო—42.

შემთხვევები.

— **დაჭრა.** 5 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ლენინის ქ. № 36, სპარსულ სასადილოში არსენ გრიგოლის ძე ბაზალაშვილს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და სასიკვდილოდ დასჭრა სასადილოს პატრონი მოქ. ალი რიზი ალი ოღლი, რომელიც გაიგზავნა საავადმყოფოში. ბაზალაშვილი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 4 იანვარს, ღამით ფეოდოსიის ქუჩაზე № 55, გაქურდული იქნა მოქ. პარუმ ნაჰარიანცის ბინა, წაღებულია სხვადასხვა ნივთები 15 ჩერ.

— **დაჭრა.** 6 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ფეოდოსიევის ქ. № 40 ნიკოლოზ გრისაევმა მოკვლის განზრახვით რევოლვერით დასჭრა მოქ. გრიგორი არტემის ძე დოლიძე. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა რუსკ. მთავარ საავადმყოფოში. გრისაევი შეიპყრეს.

— **გვამის პოვნა.** 6 იანვარს, დილის 8 საათზე, ყოფ. სომხების სემინარიის მახლობლათ ხევში აღმოჩენილი იქნა მოკლული კაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა სოფ. საგარეჯოს კოოპერატივის გამგე მოქ. ვანო ქაიხოსროშვილი. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქალის გაუპატიურება.** 22 დეკემბერს, სოფ. დიდ თონეთში ადგილობრივ მცხ. არტაშ ასლამაზოვს და გიგო და ვასო შავიშვილებს მოუტაცნიათ იმავე სოფლის მცხოვრები ქალი ოსანა მიხეილის ასული ხუციშვილისა 12 წლის და გაუპატიურებიათ. დამნაშავენი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 5 იანვარს, საღამოს 8 საათზე, გოგოლევის ქ. № 53 გაქურდული იქმნა მოქ. შალვა ბილიხიძის ბინა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები 10 ჩერვონცათ ღირებული.

ხელოვნება

საბავშვო თეატრი.

კვირას, 6 იანვარს, სახელმწიფო საბავშვო თეატრში დაიდგა ვასილიევის პიესა „ჯადოსნური წკეპლა“. პიესა დასდგა რეჟისორმა ს. წერეთელმა ტუგანოვის მიზანსცენებით.

ეს მესამე წარმოდგენაა ამ სეზონში. პირველად დასდგეს „ნაცარქექია“ დ. ნახუცრიშვილისა და მეორედ „კოტეს დანაშაული“ ნ. ნაკაშიძისა.

ვასილიევის პიესა „ჯადოსნური წკეპლა“ საუცხოვო საბავშვო პიესაა, მდიდარი შინაარსით, რომელიც ბავშვის ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევს.

მაგრამ გასაოცარი ის გახლავთ, რომ რეჟისორის განკარგულებაში არავითარი ხელსაწყო არ მოიპოვება; სცენის მოწყობილება იმდენად ღატაკი და უბადრუკია, რომ არა მგონია რომელიმე მიყრუებულ სოფლის სცენაზე უფრო უკეთესი და შესაფერი ბუტაფორია არ მოიპოვებოდეს.

მართალია, ასეთი სილატაკე სცენის მოწყობილობისა და პიესის რიგიანი დადგმა ძნელი შესათავსებელია, მაგრამ ეტყობა დიდი შრომა და გულმოდგინეობა დაუხარჯავს როგორც რეჟისორს, ისე შემსრულებელს, რომ მაინც შექმნილიყო სრული ილიუზია.

დღეს, როდესაც ყველა დარგში ძირითადი გარდატეხა და გადაფასება ხდება, საბავშვო თეატრის საკითხსაც ექცევა ყურადღება.

მაინც უნდა ითქვას, საბავშვო თეატრი უდიდესი სკოლაა და ამ სკოლას უფრო მეტი მზრუნველობა ესაჭიროება, ვიდრე დღეს ვხედავთ.

ჩვენი ხელისუფლება თანაბარის მზრუნველობით უნდა ეკიდებოდეს როგორც დრამის, ისე საბავშვო თეატრს. სამწუხაროდ, დღეს ამისი თქმა არ შეიძლება. საბავშვო თეატრი მივიწყებულია, მას არ ემჩნევა ღირსეული და მადლიანი მზრუნველის ხელი.

შეუწყნარებელია ასეთი ორი უკიდურესობა ჩვენს დიდ ქალაქში: ერთის მხრივ მთელი ზაფხულის განმავლობაში მზადებით, ახალი დეკორაციებით, ახალი ტანისამოსით, ახალი ბუტაფორიით და ათასგვარ სრულყოფილ ეფექტებით იდგმება დღევანდელი სინამდვილისათვის შეუფერებელი „გაყრა“ და ამავე დროს იდგმება საუცხოვო საბავშვო წარმოდგენა ყოვლად ღატაკად, ყოვლად უფერულ და უგემურ სინამდვილის სანახაობით.

მაშინ, როდესაც სწორედ აქ არის საჭირო ფრთაგაშლილი დადგმა, რომელიც ბავშვის ფანტაზიას უსაზღვრო სივრცეში გააფრენს, მისი გონების თვალს სარბიელს მისცემს, პაწია გულს მძლავრად აუძგერებს.

საბავშვო თეატრი ღირსეულ სიმაღლეზე უნდა დადგეს და თუ სადმე საჭიროა ეფექტების მოშველება, —ეს უმთავრესად და აუცილებლად საბავშვო პიესების დადგის დროს.

ამ საქმეზე გაწეული ხარჯი, შრომა და ენერგია, ყოველთვის ძალიან ნაყოფს გამოიღებს.

კვირინდელ წარმოდგენის უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს წარმოდგენის დაგვიანება. ბავშვის ბუნება მეტად სათუთი და გულსწრაფია; მოლოდინი და მოუთმენლობა მალე ღლის მის გუნებას და თუ უხალისობამ გადაურბინა, ისე ადვილათ ვეღარ მოიბრუნებს გულს.

შევამჩნიე, რომ რამოდენიმე მოთმინება დაკარგულ ბავშვი წაიყვანეს სახლებში. ეჭვი არაა, რომ თითონ ეს ნაკლიც, როგორც ბოლო სურათის დროს ელექტრო ნაკადის ჩაქრობაც, საერთო მოუწყობილობას უნდა მიეწეროს.

იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი წარმოდგენა უფრო მეტის სცენიურობითა და ეფექტებით იქმნება დადგმული და თვითონ დასიც გაძლიერდება ახალი თანამშრომლებით

ნ. ქურდღელაშვილი.

— **სომხური ოპერა.** სომეხ ხელოვანთა სახლთან „ჰაიარტუნ“ შესდგა კომისია სომხური ოპერის შესაქმნელად. ითარგმნება სომხურ ენაზე „რიგოლეტო“ და „სევილიელი დალაქი“.

— **სახელმწიფო დრამატიული სტუდია.** სახ. დრამატიული სტუდია ამ ჟამად ამზადებს ფულდის „ვირის ლანდი“.

— **„დიდებული ოქტომბერი“.** კომპოზიტორ მანსვეტოვმა დაამთავრა სიმფოლიური პოემა ორკესტრისა და ხორისათვის „დიდებული ოქტომბერი“.

— **მუშათა თეატრი ორთაჭალაში.** ავლაბრის სცენის მოყვარეთა დასმა დაიწყო ქართული წარმოდგენების გამართვა ორთაჭალის მუშათა თეატრში.

„ფეიქრები“. ახლო ხანში სახალხო სახლის სცენაზე რეჟ. კ. მარჯანიშვილი დასდგამს ჰაუპტმანის ცნობილ პიესას „ფეიქრები“.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ახალი საბავშვო წიგნი „ზღვის სიმდიდრე“. წიგნი დასურათხატებულია და ლამაზად არის გამოცემული.

— **ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კლუბი.** ფ.-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კლუბში დაიწყო ქართული წარმოდგენების მართვა. საღამო - წარმოდგენები იმართება კვირაში ორჯერ.

დღეს თეატრებში

— **ოპერა.** „პიკის დამა“.

— **დრამა.** სომხური წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

სპორტი

სპორტისა და ფიზიკურ კულტურის ყველა წრეებს

ამ უკანასკნელ დრომდე სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხი თითქმის სრულიად არ შუქდებოდა პრესაში.

ეხლახან ყველა გაზეთებში დაარსებულია „პროლეტარულ-ფიზიკურ-კულტურის“ განყოფილება. ამ განყოფილების ამოცანას შეადგენს როგორც გაშუქება ადგილობრივ წრეების მუშაობისა, აგრეთვე ყოველგვარი ზომების, რომელნიც იქნებიან მიღებული მუშათა ახალგაზრდობის შორის, პროლეტარულ სპორტისა და ფიზიკურ კულტურის გაფართოება-განვითარებისთვის. ამ მუშაობის ნაყოფიერებისათვის და მის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის თვითეულმა სასპორტო წრემ უნდა გამოჰყოს თავიანთ შორის სპეციალური სპორტ-კორესპონდენტი, წრის მუშაობის გასაშუქებლათ. თვითეული კორესპონდენტი ვალდებულია არა ნაკლებ თვეში ერთხელ წარუდგინოს მასალები წრის მუშაობის შესახებ უშუალოდ რომელიმე გაზეთის რედაქციას.

წრემ რეგულიარულათ უნდა მოსთხოვოს ანგარიში თავის სპორტ-კორესპოდენტს.

მხოლოდ და მხოლოდ სპორტ-კორესპონდენტთა ენერგიულ და შეთანხმებულ მუშაობას შეუძლიან მისცეს საჭირო გაშუქება მუშათა ფიზიკურ აღზრდის საკითხს—პროლეტარულ პრესაში.

ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს სააგიტაციო-საპროპაგანდო სექცია.

პროვინციაში

ასეთი აგრონომი უნდა აილაგმოს *)

სოფ. კასპში, გორის მაზრაში, არის გაეროვნებული ბაღი და რამოდენიმე ნაკვეთი მიწა. აღნიშნული მამული გორის აგრონომიულ ქვე-განყოფილების მიერ ჩაბარებული ჰქონდა აგრონომ ივ. იოსელიანს. გარდა ამისა აგრ. იოსელიანს დავალებული ჰქონდა ქვე-განყოფილების მიერ, რომ გაეწია მცხოვრებლებისათვის საჭირო აგრონომიული დახმარება და მიეცა დარიგება.

აგრონომი ივ. იოსელიანი ასეთი დავალების შესრულების მაგიერ მხოლოდ პირად სარგებლობას მისდევს, სცემს საღალოთ მამულებს და საბოსტნე ადგილებს, შემოსავლიდან იღებს ღალას თავისი პირადი საჭიროებისათვის, ბოსტნეულობის მოსავლიდან, როგორც კიტრი, კომბოსტო, და პამიდორი, გადუხდევინებია ნახევარი შემოსავლისა; გაუჩეხია კულტურული ბაღები თავის ოჯახისათვის საჭირო სათბობი მასალისათვის. სადაც საჭიროა, შემოსავლიდან არა შეუტანია რა, არამედ ყველა ეს თვით მოუხმარებია. ასეთი აგრონომი აუცილებლად ასალაგმავია. სოფელს უნდა მივსცეთ მშრომელთა ინტერესების დამცველი აგრონომები, რომელნიც გლეხობას კი არ გასძარცვავენ, არამედ აღმოუჩენენ დახმარებას. რად გვინდა ისეთი სწავლული აგრონომები, რომლებსაც გლეხობა თავის საზოგადო კრებაზედ ბოროტ-მოქმედებაში ამტყუნებს.

ინ.

---

*) ამ კორესპონდენციაზე ვაქცევთ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ყურადღებას. **რედ.**

აჯამეთის ხიდის აშენებისათვის

ეს ცხრა წელიწადია, რაც თითქმის მთელი ქვემო-იმერეთი მოწყვეტილია ქ. ქუთაისს მთავარ შარა გზით ყვირილას ხიდის უქონლობის გამო. ძველათ აქ ხიდი იყო. მშვენიერი, ევროპიულათ აშენებული ხიდი, მაგრამ მუდმივი არაფერი არ არის და ამ ხიდის არსებობასაც მოეღო ბოლო 1915 წელს. ეს ხიდი იყო ქუთაისიდან 10—11 ვერსის მანძილზე, ყოფილ ანანოვის მამულით მდ. ყვირილაზე. 1915 წ. ის დააქცია მოვარდნილმა მდინარემ და მას შემდეგ არც ერთ მთავრობის ხელში მის აღდგენას აღარაფერი აღარ ეშველა. დღეს იქ რომ გაიაროთ, ისეთი დიდი ხიდის არსებობის შემდეგ მნახველს გააკვირვებს ის, რომ ამ უზარმაზარი ხიდიდან უბრალო კვალიც კი აღარ დარჩენილა. რამდენიმე საჟენის მანძილზე შარა-გზა ამოღლებულია და დაფარულია ხავსიანი ბალახით.

ხიდის შემდეგ იყო ცალფა ნავები, იყო აგრეთვე ბორანიც. როგორც ერთი, ისე მეორე არა ერთხელ წაუღია წყალს. დღეს იქ აღარც ბორანია. გლეხები დადიან ურმებით და ცხენებით, ფეხითაც შიგ წყალში. რასაკვირველია, როცა მდინარე პატარაა, რაც ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ქუთაისს მოწყვეტილია ერთი მეტად ნაყოფიერი მოსავლიანი რაიონი, მთელი რიონ-გალმა რაიონი, რომელიც დაახლოვებით შესდგება 20— და მეტ სოფლებიდან და 10.000 მცხოვრებლებისაგან.

მშვიდობიანობის დროზე ამ რაიონიდან უხვათ შემოდიოდა ქუთაისში სიმინდი, ფქვილი, ღვინო, ყურძენი, აბრეშუმის პარკი, თხილი და სხვა. დღეს ეს რაიონი უგზოობის და უმთავრესად უხიდობის გამო მოწყვეტილია ქუთაისს. ვინ არ იცის რამდენი ხე-ტყე შემოდიოდა ქუთაისში ცნობილი ბაღდადის გზით. ახლა კი ეს შეუძლებელია.

ქუთაისში სამაზრო აღმასკომმა რამდენჯერმე აღძრა შუამდგომლობა საჭირო თანხის გაღებისათვის, მაგრამ ეს ორი წელიწადია საქმე მაინც გაყინულ წერტილს არ გასცილებია.

მთელი ბაღდადის რაიონის მცხოვრები ერთხმად გამოდიან და თავის წვლილს არვინ არ დაზოგავს ამ დიდ საქმისათვის, ოღონდაც ვინმემ კი დაიწყოს ის. მთავრობამ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში, გადადგას საჭირო ნაბიჯი მატერიალურ დახმარების და ტექნიკური ძალების მხრივ. ეს საქმე ადვილი გასაკეთებელია, რადგან მთელი ხე-ტყე მასალები იქვე გვერდზეა, ანანოვის მუხნარში. კარგი ენერგიული ინიციატორი, საზოგადოების და მშრომელთა მთავრობის დახმარება, და ეს დიდი ხიდიც გაიდება ქუთაისსა და მთელ დიდ რაიონს შორის.

გ. მ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულების და აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებს

საღერბო და საკანცელარიო გადასახადების შესახებ. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოთათვის.

სახელმწიფო საღერბო გადასახადის წესდებით მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციაზე შემოღებულია საღერბო და საკანცელარიო გადასახადების შემდეგი წესი:

1. მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია განთავისუფლებულია საღერბო გადასახადისაგან (წესდების მე-4 პარაგრაფის 1 პუნქტის შენიშვნაში).

ამ რიგათ ხსენებულ აქტების რეგისტრაცია უნდა სწარმოებდეს სრულიად უფასოდ და თხოვნა, რომელიც შედის მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ამა თუ იმ აქტის რეგისტრაციაში გატარების შესახებ თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან.

2. განთავისუფლებულია საკანცელარიო გადასახადისაგან თხოვნა, წარდგენილ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, როგორც აქტის რეგისტრაციისა, ისე ამ აქტის ამონაწერის გაცემის შესახებ. მაშასადამე საკანცელარიო გადასახადი უარყოფილია მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების წარმოების საქმეში (ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის საკანცელარიო გადასახადის ინსტრუქციის მე-3 პარაგრაფი).

3. განთავისუფლებულია ყოველგვარ გადასახადისაგან თხოვნა მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ამონაწერის გაცემის შესახებ და თვით ამონაწერიც (წესდების პირველი მუხლის მე-2 პარაგრაფი), თუ ეს უკანასკნელი (ამონაწერი) ესაჭიროება მთხოვნელს სამხედრო უწყებაში წარსადგენად და დაკავშირებულია სამხედრო ბეგარის მოხდასთან, აგრეთვე განათლების და სოციალურ უზრუნველყოფის უწყებებში წარსადგენად. ამ შემთხვევაში ამონაწერში აღინიშნება, რა საჭიროების გამო არის ის გაცემული.

4. ამ ცირკულიარის მესამე მუხლში აღნიშნულ საჭიროებათა გარდა თხოვნა და პასუხი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ამონაწერის გაცემის შესახებ, იბეგრება 1 მან. 50 კაპ. ჩერვონცით საღერბო გადასახადით, გამონაკლისს შეადგენენ საბჭოთა მოსამსახურენი, რომელნიც იღებენ ჯამაგირს მე-9 კატეგორიაზე თანჩათვლით, აგრეთვე შრომის ბირჟის ჩაწერილნი უმუშევარნი და მათი ოჯახის წევრები, თუ მათ პირველად სურთ მიიღონ ამონაწერი მხოლოდ დაბადების და გარდაცვალების შესახებ.

5. სამაზრო აღმასკომს ევალება სასწრაფო განკარგულების გაცემა, რათა ეს ცირკულიარი სისწორით და მტკიცედ იქნეს დაცული ადგილობრივი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოების მიერ.

6. ამ ცირკულიარით გაუქმებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ყველა ცირკულიარი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოთა საღერბო და საკანცელარიო გადასახადების შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე—ტალახაძე.
საქმეთა მმართველი—თახიშვილი.
მოქალაქობრივი მდგომარეობის განყოფილების გამგე—ა. ცინცაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში (ყოფ. ქალაქის გამგეობის დარბაზი) შესდგება დელეგატთა კრება უჯრედების მდივნებთან ერთად.

უჯრედების მდივნებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ ყველა დელეგატებს.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის შესახებ.
2. პარტიაში მიღების შესახებ.
3. აგიტაცია-პროპაგ. ორგანიზ. შესახებ უჯრედებში.
4. მიმდინარე საქმეები.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

[illegible] სტამბა, საშა შულუკიძის ქუჩა №

ამინდი ამიერკავკასიაში

7 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში... 8 გრ., ბათომში... 4 გრ., სამტრედიაში... 6 გრ., ქუთაისში... [illegible] გრ. აჯამეთში...7 გრ., ჭიათურაში... 2 გრ., მუხრანში... 0 გრ., ბორჯომში... 3 გრ., სურამში... 1 გრ., ტფილისში... 3 გრ., ერევანი... 1 გრ., ბაქოში... 7 გრ. (წიფიდან, მუკუზანიდან და სურამიდამ ცნობები არ არის).

ღრუბლიანობა: ტფილისში, სურამში და ბაქოში—სრული, ძლიერ დიდი მუხრანში და ფოთში, ერევანში—მეტად საგრძნობი, დანარჩენებში—მოწმენდილია.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის ზომიერი; ქუთაისში—აღმოსავლეთის, ნელი. აჯამეთში—აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, მაგარი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ წყნარი.

ნალექი: ბათუმში წვიმა, დილით, საღამოთი და ღამით.

[illegible] ნაპირებთან. ფოთში, ბათომში, ლენქორანში—[illegible].

ამინდი საქართველოში.

ცვალებადი ღრუბლიანობა, აღმოსავლეთ-საქართველოში ალაგ-ალაგ ჰყინავს.; მდ. რიონის ხეობაში. ძლიერი ქარი.

ჩრდილოეთ კავკასია.

7 იანვარი, დილის 7 საათი.

კავკავი. ტემპერატურა:—5 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის

კიზლიარი. ტემპერატურა: 4 გრ., მოღრუბლულია, ქრის ნელი აღმოსავლეთის ქარი.

ტფილისი

8 იანვარი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 7 გრ., სრული ღრუბლულიანობა, ქრის. დასავლეთის ნელი ქარი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დელეგატთა რაიონულ კრებაზე, რომელიც შესდგება ოთხშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში (ყოფ. ქალაქის გამგეობის დარბაზი); კრებაზე გაირჩევა საკითხი პარტიაში მიღების შესახებ. 1. მარკარიანი ოგანეზ—1-ლი სტამბა, 2. როსტომოვი ნიკოლოზ—5-ე სტამბა, 3. მოროზოვი ტიხონ—ექსპედიცია, 4. მინასიანი არუთინ—„უეს“-ი, 5. წერეთელი კონსტან.—3-ე სტამბა, 6. ჩერნიავსკი—ექსპედიცია, დემუროვი იოსებ—„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, 8. ადამია ბაგრატ—1-ლი სტამბა, 9. ოგანოვი კარო—„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, 10 ნარიმაშვილი ივანე—5-ე სტამბა, 11. სადაგიშვილი მიხ—3-ე სტამბა, 12. გოგიაშვილი მიხეილ—1-ლი სტამბა, 13. ამერიძე ეკატერ.—ამხ. ლენინის სახელობის ქარხანა, 14. ოგანეზოვი ავეტიკ—საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი, 15. სლეპცოვი პანტელეიმონი—ცეცხლის მქრობელი რაზმი, 16. ბარანოვიჩი იოსებ—მეტეო, 17. ოგანიანცი მინას—ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარ. 18. ეფიმოვა ალექსანდრა—ამხ. ლენინის სახელობის ქარხანა, 19. ასათიანი კონსტ.-საქართ. საგანგებო კომისია, 20. ბელიაევი ალექსანდრე—„უეს“-ი 21. ლუკიანოვი მიხ.—განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები, 22. მარიკოვა ალ.—ამხ. ლენინის სახელობის ქარხანა 23. სარქისოვი არმენ.—ლენინის სახელობის ქარხანა, 24. რიგალოვა ანნა—საქართ. საგანგებო კომისია, 25. რინენბერგ აბრამ—გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა, 26. ადამაშვილი გიორგი—ქარხანა „თემქა.“ 27 ტარახარევი ვართან—განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილები, 28. კარპენკო სერგი—სახალხო კომისართა საბჭო, 29. აირაპეტოვი ონიკ—სანდლების სახელოსნო, 30. კამალოვი ავეტიკ—სამხედრო კომისარიატის სტამბა.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— ტფ. მაზრის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილის იარაღთა აღმრიცხველი კომისია აცხადებს ს. კ. პ—ის და ს. კომ: ახალ. კავშირის ყველა წევრებისა და კანდიდატების სავალდებულო ასასრულებლად, რომ სწარმოებს იარაღის აღრიცხვა. აღწერა გრძელდება: ა) სამხედრო-სასროლი იარაღი ა, ხრახნილიანი იარაღისა, საომარი მოდელის ტიპებისა, ე. ი. ნიმუშები რუსეთისა და უცხოეთის არმიის შეიარაღებიდან გადმოღებული, ბ) ხრახნიანი რევოლვერები და დამბაჩები, რომლებიც თუმცა აღარ იხმარება რუსეთისა და უცხოეთის არმიათა შეიარაღებაში, მაგრამ თავდაცვის მიზნით კი ხმარებაში არის.

სავალდებულოა ყველას გამოცხადება იარაღით, პარტიული დისციპლინის
დილის 9 | 1 საათამდე და ნაშუადღევის 3—6 საათამდე, კარლ მარქსის მოედანი,
კუთრებული დანიშნულების ნაწილთა ტფილისის ბატალიონის შტაბში.

პირველ და მეორე რაიკომებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ 11 იანვრ
ამ დღის ჩათვლით, მესამე და მეოთხე რაიკომებს კი—12 იანვრამდე, ამ დღის ჩა
ის ამხანაგები, რომლებიც აღნიშნულ ვადაზე ვერ შესძლებენ გამოცხადებას რ
ტრაციაზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ 13 იანვარს დილის 9—12 საათამ
არის უკანასკნელი ვადა. კომისია.

7 იანვარი. 1924 წ. ქ. ტფილისი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი ელიზო, სპირიდონ, ნიკიფორე, ქეთო, ილ
კო, გალაქტიონ და რეზო ჭელიძეები, ოლია, ანტონი, ალიოშა, ვერ
და გრიშა კუპრაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროო
მოულოდნელად გარდაცვალებას 5 იანვ. ქ. ტფილისში უსაყვარლე

ნიკოლოზ (კოლა) სპირიდონის-ძ
ჭელიძისას,

გამოსვენებული იქნება ქ. ტფილისიდან ქ ქუთაისში ძველი ტფილისის ქუჩა № 58 საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება იანვრის 12 1924 წ სოფ ჩხიის სასაფლაოზე. 371 1—1

სახელმწიფო
ოპერა
1924 წელი

დღეს, 9 იანვარს

პიკის ქალი

ხუთშაბათს, 10 იანვარს ბოჰემა

ნის. 818 2—1

ტფილისის აღმასკომის საადგილმამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს ა. წ. 10 იანვარს დილის 12 საათზე მისგან დანიშნულია ქალ. ტფილისში მდებარე შემდეგი ბაღების შეჯიბრების წესით იჯარით გაცემის საჯარო ვაჭრობა.

1. ბაღი ყოფილი	მეიერისა .	. დიდუბეში.
2. „ „	მანთაშევისა .	. ნავთლუღში (ზაკეპო).
3. „ „	სეტოიანცისა	. ორთაჭალაში.

ვაჭრობის დაწყებამდე შემოტანილ უნდა იქმნას საწინდარო ერთი ჩერვონეცი.

დანარჩენი დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე განყოფილების კანცელიარიაში, აღმასკომის შენობა, ოთახი № 31.

განყოფილების გამგე **ა. ჯაფარიძე.**
კანცელიარიის გამგე **ტ. ბაგუნაშვილი.** 831 1—1

განცხადებები
ტფილისის აღმასკომი

ამით აცხადებს, რომ ყველა მანდატები, როგორც ძველი შემადგენლობის მე 3-მე მოწვევის საბჭოს, აგრეთვე აღმასკომის წევრებისა

ითვლება გაუქმებულად

რწმუნებულების ვადის გათავების გამო.

გაუქმებულად ჩაითვალოს აგრეთვე დროებითი მანდატები, რომლებიც მიეცა ახალი შემადგენლობას (მე-4 ხე მოწვევის) ტფილისის საბჭოს. ამისათვის ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ტფილისის მე 3 მე მოწვევის საბჭოს და აღმასკომის ყველა წევრებს ძველი მანდატები ჩააბარონ აღმასკომის სამდივნოში (ოთახი № 5) ა. წ. 10 იანვრამდე. მე-4 ხე მოწვევის საბჭოს და აგრეთვე აღმასკომის ახალ შემადგენლობის წევრების მუდმივი მანდატების გაცემა სწარმოებს 5—საათიდან ვიდრე საღამოს 9 საათამდე ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, სამდივნოში (ოთახი № 5). აქვე სწარმოებს აწერა საბჭოს წევრებისა სექციაში.

პრეზიდიუმი. ნის. 819—5—4

დავკარგე პასპორტი № 23632 ილიკო ჩანჩალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 368 1—1

დავკარგე მეტრიკა № 208, გამოტანილი 1915 წ. დიოგენ ილარიონის ძე ჰეიშვილის სახელობაზე. იქნეს გაუქმებული. 370 1—1

დავკარგე ბირჟის ბილეთი № 2603 მასწავლებელთა სექციის ივლიტა ჰეიშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 369 1—1

დავკარგე აქციზის ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის ბეჭედი № 41, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 8 იანვარი 1924 წ. აქციზის ინსპექტორის თანაშემწე ვ. კახიძე. 372 1—1